

# საბავშვო

საბავშვო  
ბავშვობა

140  
2003/2



„თამარის“  
სასკოლო ადგილები



მართად და ვაიმჯი  
სხვათაზე



„საბავშვო“  
ბავშვობა



თბილისის 23-ე საშუალო სკოლა, I კლასი, ხელოვნების ხუროთმოძღვრებით



# საქართველოს მოძრაობა

თავისუფალი  
საქართველო



ვახაგვიანობის  
ღვინსნსული  
ოღიღინის 130-ე  
სულიძი.

სული  
„სანიღვინის“  
მინსვღიღი  
ეღვინსვინსი.




ოღიღინის 142-ე  
საღვინსული  
სულიძი,  
I სულიძი,  
სეღმღღვინსული  
სანიღვინსული



ოღიღინის 142-ე  
საღვინსული  
სულიძი,  
I სულიძი,  
სეღმღღვინსული  
სანიღვინსული







# ნაკადული

**საყმაწვილო ჟურნალი**  
**2003 წ. № 4**


ჩვენი ჟურნალი 1904 წელს სასიძვედოლ მამულიძეილთა მესუჟუქთმით დკატსუქმული პიბუელი ქსტთული სკცმქუილთ ჟურნალის ნათუქბარგუკ ამტბრდილი. მტგვიანუმიტ მას სსსელი მუქცვალს დს „პიბნუბი“ უქდს, 1990 ქლიდსნ კი იგი უულსუ თსვისი პიბუანდელი სსსელიტ გსმდის.

## ნომრის შინაარსი

„ნაკადულის“ საინფორმაციო სააგენტო „ვაჰტი“	2
სამშობლოს სიყვარული სკოლის სიყვარულიდან იწყება	3
მურკან ლუბანიკი. ვბრილუბი ჩამი კოვკებიდან (ლოკუბენტური მოთსრობა)	5
მარიამ ასათიანი (ერთი თქვენბანი)	9
„ოლოზბერი“	10, 15, 21, 25
„ნიუნანი სარისსისსა დს კატივისსანი“	11
მოკავლისსკენ მოზირალი „სარკბელი“	14
იასონ ლორთქიუნანიკი (მზრობელი ვარკალს დს ნაზრობი კვიუს)	16
რატომ ვაბგოვთ ასე? სიტყვის კონს	17
მსოფლიო კილიტ კიდედე	18
კასუსისსგბგლობა (უნეობის ანბანი)	20
სიკეთით აღსავსე გული. კატარგის უპირკველუსი მგვოზარი (მუნეა უპირით რობ ათენეუს)	22
იცი, რას ნიუნავს უბნი სსხელი?	23
იცნოვდეთ – ეს სიგსსონების ოჯახია!	24
მცირე ენციკლოკვლია ერულიტბებისათვის (შხატვრობა)	26
ჩვენი ჟურნალის სხსნიას ანსაგბლი	27
მეჯლისი პრინციესსსთას	28
ორი ტუსტი თინეიჯერებისთვის	30
სიცილის გაკვეთილი	31
იწილო-გიწილო	32

<p><b>რედაქტორი</b>  <b>მანანა გულაშვილი</b></p>	<p>მისამართი: 380008, თბილისი, კოსტავას ქ. 14        ტელეფონები: 93-31-81; 93-18-84.        ინდექსი: 76157        ფასი 1 ლარი        რეგისტრირებულია მთაწმინდის სასამართლოში</p>
--	--





# "ნაპერუნი" საინფორმაციო სააგენტო "ფაქსი"



## საკუთარ თავთან მისასვლელი ზღის ძიებაში

ეროვნული ბიბლიოთეკის შენობაში განთავსებულ ალექსანდრე დიუმას სახელობის ფრანგული კულტურის ცენტრში გაიმართა მანანა ბეგიაშვილის ლიტერატურულ-შემოქმედებითი სახელოსნოს მიერ შედგენილი და გამოცემული წიგნის „სადღაც ახლოს“ პრეზენტაცია. კრებულში შესულია ამ სახელოსნოს წევრი ბავშვების ნაწარმოებები, რომლებიც მათ მეცადინეობებზე შექმნეს. წიგნის წინასიტყვაობაში ლიტერატურულ-შემოქმედებითი სტუდიის ხელმძღვანელი ქალბატონი მანანა ბეგიაშვილი ამბობს: „ჩვენ ყველას, განურჩევლად ასაკისა, გვჭირდება საკუთარ თავთან მისასვლელი გზის მოძებნა. უამისოდ ძნელია გამყარდე, იპოვნო სხვები, დადგე გაშლილ ადგილას“.

## საკვილოქაქო აქსია პანაჟენსკი

პარლამენტის პლენარული სხდომების დარბაზის ფოიეში მოეწყო სამცხე-ჯავახეთის, ქართლის და კახეთის რეგიონების ობოლ და მზრუნველობამოკლებულ ბავშვთა ხელნაკეთი ნამუშევრების გამოფენა-გაყიდვა. ერთ-ერთმა პირველმა ბავშვების ნახელავი – დაქარგული სათვალის ბუდე პარლამენტის თავმჯდომარემ ნინო ბურჯანაძემ შეიძინა და შემოწირულობათა ფუთში ოცი ლარი ჩადო.

ახალგორის ბავშვთა სახლის წარმომადგენლებმა კი ქალბატონ ნინოს ბავშვების ნახელავი ხის ზარდახშა გადასცეს საჩუქრად. გამოფენა-გაყიდვის მოწყობის ინიციატორი და ორგანიზატორი ორი წლის წინ ჩამოყალიბებული საზოგადოებრივი მხარდაჭერისა და ეროვნული განვითარების ქართული ასოციაცია „გენზისი“ გახლდათ, რომელიც ყველაფერთან ერთად ბავშვთა სახლებს უფასო სამედიცინო დახმარებებსაც უწევს.

## გენიანისტოა სოჰნის საღაო

მოსწავლე ახალგაზრდობის რესპუბლიკურ სასახლეში გაიმართა სასახლის უცხო ენების კაბინეტთან არსებული გერმანულენოვანი დრამატული დასის ლიტერატურულ-დრამატული საღამო. დასის ხელმძღვანელმა, პედაგოგმა ქეთევან მებონიამ და მისმა აღსაზრდელებმა ეს ღონისძიება ქართველი გერმანისტების მარგალიტა ცხვედაძის, დავით ლაშქარაძის, გურამ რამიშვილის და საქართველოს დიდი მეგობრის ჰერმან ვედეკინდის ხსოვნას უძღვნეს.

საღამოზე ქალბატონ ქეთევანის მოსწავლეებმა გერმანულ ენაზე წაიკითხეს და გაითამაშეს ნაწყვეტები გოეთეს, შილერის, ბრენტის, ანა კალანდაძის, ნოდარ დუმბაძის, სხვა გერმანელი და ქართველი მწერლებისა და პოეტების ნაწარმოებებიდან.

საღამოს მონაწილეებს გერმანულად ესაუბრა სტუმრად მიწვეული განათლების მინისტრი ალექო კარტოზია.

## ქართული ჭაღრაკის ახალი პანსკლავი

20 წლამდე ასაკის მოჭადრაკეთა საქართველოს პირველობაზე ქუთაისელმა ნანა ძაგნიძემ და თერჯოლელმა გიგა ყუფარაძემ იყოჩაღეს. ჩემპიონატის ტიტულთან ერთად ნანამ და გიგამ მსოფლიოს ამავე ასაკის უძლიერეს მოჭადრაკეთა პირველობაში მონაწილეობის უფლებაც მოიპოვეს. ნანასთვის ეს წელს მოპოვებული მესამე ოქროს მედალია, გიგასთვის კი პირველი. ქართული ჭადრაკის ორივე ახალი ვარსკვლავი ქუთაისის სასპორტო ლიცეუმის მეათე კლასის მოსწავლეა.

## სახანაჟა უსინათლო ბავშვებისთვის

საქართველოს საპატრიარქოს ახალგაზრდულ ფონდ „ძღვევის“ წევრების ინიციატივით რუსთაველის გამზირზე, მოსწავლე ახალგაზრდობის სასახლის წინ გაიმართა სხვადასხვა სკოლის მოსწავლეების და სამხატვრო აკადემიის სტუდენტთა ნახელავი სუვენირების გამოფენა-გაყიდვა. საქველმოქმედო აქციის შედეგად შემოსული თანხა (რომელიც, სამწუხაროდ, არც ისე დიდი აღმოჩნდა), უსინათლო ბავშვებისთვის სახარების დაბეჭდვას მოხმარდება.



# სამშობლოს სიყვარული სკოლის სიყვარულიდან იწყება

წელს, სექტემბერში თბილისის ილია ჭავჭავაძის სახელობის 23-ე საშუალო სკოლას, რომელიც ყოველთვის სანაქებო იყო და დღესაც ასეთად რჩება, 130 წელი უსრულდება. სკოლის მთავარი კიბის თავზე გამოყვანილი მონუქურთმებული წარწერა გვამცნობს: „სკოლის დაარსების თარიღია 1873 წელი“. მაშინ ამ სასწავლებელს სახელიც სხვა ჰქონდა – „პროგიმნაზია“ – და ის სხვა ქუჩაზე, სხვა შენობაში – „სალდატსკი ბაზრის“ მახლობლად, მუსიკალური საზოგადოების შენობაში იყო განთავსებული. მოგვიანებით „პროგიმნაზია“ მიხეილის გამზირზე (ახლანდელი დავით აღმაშენებლის გამზირი) ლუკა ისარლოვის კუთვნილ სახლში გადმოვიდა, ახლანდელ შენობაში კი 1902 წლიდან დაიღო ბინა. იმ დროს ეს უკვე ქალთა გიმნაზია იყო. აი, რას წერდა „ივერია“ ამ ფაქტთან დაკავშირებით: „გუმინ, 8 სექტემბერს აუკრთხეს ახლად აგებული შენობა მეორე დედათა გიმნაზიისა. კურთხევაზედ დაესწრნენ უფროსნი სხვადასხვა დაწესებულებათა, გიმნაზიათა და სხვადასხვა სასწავლებელთა დირექტორები, სასწავლებელთა წარმომადგენლები, ნათესავნი ამავე სასწავლებლის მოსწავლეთა და მრავალი ხალხი...“ სკოლის პირველი დირექტორი გახლდათ ლევ მოძალევესკი, სხვადასხვა დროს კი მას სათავეში ისეთი დიდი მამულიშვილები და მეცნიერები ედგნენ, როგორებიც თუნდაც გიორგი ახვლედიანი და დიმიტრი უზნაძე ბრძანდებოდნენ. აქ მასწავლებლებადაც იმთავითვე ერის საამაყო შვილები იყვნენ, თავის დროზე მუსიკას ია კარგარეთელი ასწავლიდა, სახვით ხელოვნებას – ელენე ახვლედიანი, ბოტანიკას – ნიკო კეცხოველი, გეოგრაფიას – დავით დონდუა, მშობლიურ ენასა და ლიტერატურას – კატო ბერიძე, ქიმიას – ნიკო ჯაფარიძე და სხვები.

ეს ადამიანები და მათი მოსწავლეები უყრიდნენ საფუძველს იმ ტრადიციებს, დღესაც რომ გამოარჩევენ ამ სკოლას.

დღეს ამ ტრადიციებს სკოლის 1200 მოსწავლე, 70 მასწავლებელი და დირექტორი ლალი ზარანდია აგრძელებენ და უნდა ითქვას, რომ დირსეულადაც აგრძელებენ.

ქალბატონი ლალი იმ დროს გადმოიყვანეს აქ სამუშაოდ (1994 წ.), როდესაც მთლიანად საქართველოში არეულობა სუფევდა და შედეგად სასწავლო პროცესის მდინარება და რიტმი აქაც დარღვეული იყო. ახალი

მაც ყოველმხრივ უწყობს ხელს განათლების სისტემის რეფორმირების პროცესს თავი სკოლაში. პირველი შედეგი – სკოლის ჰუმანიზაციის, დემოკრატიზაციის ნიშნები უფრო და უფრო მეტად იჩენს თავს და აშკარად იკვეთება მოსწავლე მასწავლებლების ურთიერთობის ახალი ხასიათი და არსი – თანამშრომლობა. დირექტორი დარწმუნებულია, რომ ის ავტონომია, ის უფლებები, რაც რეფორმით სკოლებს ენიჭება, ბევრი პრობლემის გადაჭრას შეუწყობს ხელს, იმავდროულად ავტონომიის შედეგად იზრდება მასწავლებლების პასუხისმგებლობაც, რაც თავის მხრივ აღზრდა-განათლების პროცესს სასიკეთოდ აჩნდება.



სკოლის დირექტორი ლალი ზარანდია

23-ე სკოლაში ძირითადად საერთო ეროვნული სასწავლო პროგრამით ხელმძღვანელობენ, რომელსაც მოსწავლეთა აზროვნების განვითარებისკენ მიმართული სხვადასხვა პროგრამაც ერწყმის. ამჟამად სკოლაში რამდენიმე პროგრამა მოქმედებს. 2001 წლიდან სკოლა მონაწილეობს „იუნისეფის“ „აქტიური სწავლების“ პროექტში, რომელიც გაკვეთილებზე მოსწავლეთა აქტიურობასა და მასწავლებელთა პროფესიულ დაოსტატებას ისახავს მიზნად. მეოთხე წელია, რაც დაწყებითი კლასები მუშაობენ პატარების დამოუკიდებელი აზროვნების განვითარებისკენ მიმართული „ღია საზოგადოება-საქართველოს“ პროგრამით. „ნაბიჯ-ნაბიჯ“, ამავე საზოგადოების კიდევ ერთი პროექტი „კანონიერების კულტურა“ კი მოსწავლეთა სამოქალაქო საზოგადოებისთვის აღზრდას ემსახურება. სიახლეა ფსიქოლოგიის საათი და საგანი „მეტყველების კულტურა“ დაწყებით კლასებში.

სკოლაში ფრანგული ენის გაძლიერებული სწავლებაა (ამ უცხო ენას აქ მეორე კლასიდან ასწავლიან). ცხადია, ამგვარი პროგრამა მასწავლებლების სპეციალურ მომზადებას საჭიროებდა და 8 მასწავლებელმა სტაჟირება საფრანგეთში გაიარა. დიდ დახმარებას უწევს სკოლას საქართველოს საელჩო საფრანგეთში, რომელიც რეგულარულად

22826

გაგრძელება მე-4 გვ.



# სამშობლოს სიყვარული სკოლის სიყვარულიდან იწყება

ლად ამარაგებს მოსწავლეებს და მოსწავლეებს საჭირო ლიტერატურით. იმაზე, თუ რა ღონეზე ისწავლება აქ ფრანგული, თუნდაც ის ფაქტი მეტყველებს, რომ შარშან სკოლის ორი კურსდამთავრებული საფრანგეთის უმაღლეს სასწავლებლებში ჩაირიცხა. სკოლაში ინტენსიურად უწყობენ ხელს მოსწავლეთა თვითმმართველობის დამკვი-

ლაშვილმა და ირაკლი კახაძემ თავის დროზე პრეზიდენტის სტიპენდია დაიმსახურა, ამჟამად კი აქ მერიის ორი სტიპენდიატი ჰყავთ - 7 წლის ანანო ანთაძე (ხატვა) და მეათეკლასელი ნათია დუმბაძე (სიმღერა).

23-ე სკოლას ხშირად ჰყავს სტუმრები, ახლახან მოსწავლეთა უდიდესი ნაწილის ინტერესისა და სურვილის

დგას კიბის ბაქანზე და თითქოს თვალს ადევნებს, როგორ ასრულებენ შთამომავლები მის ანდერძს. ერისთვის ნაანდერძეებში ილია გამთლიანებისკენ, ერთიანობისკენაც მოუწოდებს ქართველებს და 23-ე სკოლაში ამის აღსრულებაშიც შეაქვთ თავისებური წვლილი. რამდენიმე წლის წინ აქ გაიხსნა საქართველოს ერთიანობის კაბინეტი, რომელსაც ილიას თანამოაზრის მემედ აბაშიძის სახელი მიენიჭა. კაბინეტის საზეიმო გახსნას ბათუმის ილია ჭავჭავაძის სახელობის I საშუალო სკოლის მოსწავლე-მასწავლებლებიც ესწრებოდნენ. მტკიცე საძირკველჩაყრილი ორი მოწინავე სასწავლებლის მეგობრობა კვლავაც გრძელდება.

დღეს მთელი სკოლა - მოსწავლეებიც და მასწავლებლებიც - მომავალი იუბილესთვის მზადების ნიშნით ცხოვრობს. აგროვებენ და აახლებენ სასკოლო მუზეუმის ექსპონატებს, ავსებენ სასკოლო ბიბლიოთეკის უნიკალურ ფონდს, ამზადებენ საიუბილეო ღონისძიებებს, გამოფენებს და ა.შ. ცხადია, სტუმრები მრავლად ევოლებათ - რომელი თაობის კურსდამთავრებულს გაუძღვებს გული არ მოვიდეს მშობლიური სკოლის ზეიმზე, არ გაიხიაროს საერთო სიხარული, არ გაიხსენოს საკუთარი ბავშვობა, არ გამოხატოს ის დიდი სითბო და სიყვარული, აქედან გასულებს რომ გაჰყვათ და დღემდე რომ არ განელებიან.

გავა წლები, სკოლის სახელოვან კურსდამთავრებულებს (სხვადასხვა დროს 23-ე სკოლა დაამთავრეს არჩილ სულაკაურმა, ოთარ ქინქლამემ, გუჩა კვარაცხელიამ, ზაქარია ზურდიემ, გივი აზმაფარაშვილმა, რეზო ჩხეიძემ, ელისო ვირსალაძემ, იზა ორჯონიკიძემ, ზურაბ ჭავჭავაძემ, გოგი ქავთარაძემ და მრავალმა სხვამ) ახალი თაობები შეემატება, თითოეული თავის გზას აირჩევს, თავის ადგილს მონახავს, სხვადასხვა საქმიანობას მოჰკიდებს ხელს, საერთო კი ყველა მათგანს ერთი ექნება - სამშობლოზე ზრუნვის მოთხოვნილება, მის სამსახურად მზადყოფნა, მშობლიური სკოლის სიყვარული და პირველ კლასშივე გათავისებულ-გაცნობიერებული ჭეშმარიტება - სამშობლოს სიყვარული სკოლის სიყვარულიდან იწყება.



დრებას. აქ მოქმედი მოსწავლეთა სათათბირო აქტიურად მონაწილეობს სკოლის ცხოვრებაში, ამა თუ იმ საკითხების გადაჭრაში, სხვადასხვა სახის ღონისძიებების მოწყობაში. სათათბიროსთან არსებული დებატკლუბის წევრები სხვადასხვაგვარი კონკურსების უცვლელი მონაწილეები არიან და როგორც წესი, გამარჯვებულები გამოდიან. ასევე დიდ წარმატებებს აღწევენ 23-ე სკოლის ნორჩი მხატვრები, არ ყოფილა გამოფენა თუ კონკურსი აქაური ხატვის წრის წევრებს გამარჯვება რომ არ მოეპოვებინათ. ბევრი მათგანის ნაშუქვარი საზღვარგარეთის სხვადასხვა ქვეყანაში გამართულ კონკურსებსა და გამოფენებზეც არაერთხელ გაიგზავნა. საერთოდ სკოლაში შემოქმედებითი ნიჭის გამოსავლენად ბავშვებს ყველანაირად ეწყობათ ხელი. მოქმედებს მუსიკალური, სამეჯლისო და ხალხური ცეკვების სტუდიები, სიმღერის ანსამბლი, მგალობელთა გუნდი, ჭადრაკის წრე. სკოლის სამმა გამორჩეულად ნიჭიერმა მოსწავლემ - გიორგი ანდლულაძემ, გიორგი ბო-

გათვალისწინებით, პოეტი რატი ამაღლობელი მოიწვიეს. დისკუსიამ, მოსწავლეთა შეკითხვებმა, აქტიურობამ პოეტთან საუბარში კიდევ ერთხელ გაუსვა ხაზი უკვე გამოკვეთილ სასიკეთო ტენდენციას, რომელიც მოზარდების წიგნიერების ზრდაზე, წიგნსაკენ შემობრუნებაზე მეტყველებს. მასწავლებლებიც და დირექტორიც ყველაფერთან ერთად ამანაც ძალიან გაახარა, მათი ყოველდღიური ძალისხმევაც ხომ სწორედ აქეთვე არის მიმართული. იმ საღამოს მოსწავლეების შემეყურეთ, მათ კიდევ უფრო განუმტკიცათ იმის იმედი, რომ ამ გოგობიჭების სახით ის თაობა იზრდება, რომელიც ხვალ-ზეგ საქართველოს ბედს ჩაიბარებს და არავის აპატიებს არც კორუმპირებულობას, არც ხალხის მოტყუებას და არც ქვეყნის გახლეჩისკენ მიმართულ საქმიანობას. იმ საღამოს 23-ე სკოლელებმა კიდევ ერთხელ დამტკიცეს, რომ ყოველ მათგანს უფლება აქვს სკოლის ზღურბლის გადაბიჯებისას თამამად გაუსწიროს თვალი დიდი ილიას ქანდაკებას, მრავალი წელი რომ



# მურან ლეანიძე



ეს პატარა ამბავი ქვემოთ: ლაშხეთში მამბეს, მაგრამ სვანეთი ვინ გაყო-მეთქი, გადავწყვიტე, და ეცერიდან გწერთ. ამბავი მართლაც პატარაა, მაგრამ მე მასში დიდ აზრს ვხედავ და მოხარული ვიქნები, თუ თქვენც იგივეს დაინახავთ.

ზამთრის ერთ საღამოს, როცა ჯახუნდერში ბინდი ჯერ

სების გამო, მთელი კვირაც იყო, ჯახუნდერში ვერაფერი ასულიყო. არადა, თივა ჩამოსატანი გახლდათ, სკამის ცაქა დადებდა არ იქნებოდა.

ატკაცუნდა საცერი და აგუნდავდა ცომი. ბუხართან გამოძცვარი პურის სუნი დატრიალდა და მიუცუცქდა დედე მარიამს წვრილშვილი. მამამ მარხილი გააწყო, ხარებს თივა დაუყარა და ახლა, ცეცხლთან მიმჯდარი, ისიც ცხელ პურს ილოღნებოდა. მარტო ნუგზარს ეჭირა თივა განკერძოებით, სამგზავროდ ემზადებოდა, შინ ნაქსოვ „ჯაჭვის პერანგში“ ჩათბუნულს სკიერი ამოებრუნებინა და მთელ წინდებს ეძებდა.

კარგად იცოდა თორმეტი წლის ბიჭმა, რომ წინ ძნელი გზა ელო – პირველად არ მიჰყვებოდა მამას ლაჯოგში. გრძელი ლაპარაკი არ უყვარდა გელა ონიანს. მისი სიტყვა ბეჭედი იყო ოჯახში. იცოდა ნუგზარმა, ოცდაოთხი საათი თოვლსა და ყინულ-წყალში უნდა ეტოპა. ჰქონდა რაღაც უსიამოვნო წინასწარშეგრძნება იმ გრძელ გზაზე ფიქრით, მაგრამ მისთვის უცხო იყო დანარების გრძნობა – მხნეობა ესწავლებია ბიჭისთვის ცხოვრებას.

ნაშუადამევეს ნაცნობი ხმებით არ გავსებულა ჯახუნდერი: არ ამტყდარა ხარების ფშვენა და გადაძახ-გადმოძახება. ჯერ არ გამოდარებულყოფი და ცოტა იყო მთაში წასვლის მუშტარი. გასრიალდა ღრმა შუკაში ბუბა ვასილის მარხილი. ცივი, თითბრისფერი მთვარე გამოერთა გაქცეულ ღრუბლებში და მთა-მთა, კიბე-კიბე მიჰყვა ონიანების ორ მარხილს. წინა მარხილში ბუხუნა ონიანი ჩათბუნულიყო, ნუგზარის ბიძაშვილი. გზა კილომეტრნახევარზე ვაკე იყო, ხარებს წინამძღოლი არ სჭირდებოდათ და ნუგზარსაც შეეძლო მარხილში ჩამჯდარიყო, მაგრამ არ

# ნაჩილაზი რაჟი კოუკაზიდან

არ შესულიყო, ხოლო უსიცოცხლო მზე დაკლულ მამალივით მყინვარზე ფართხალებდა, გელა ონიანი სვიფიდან შინ დაბრუნდა და მეუღლეს უთხრა: ნუგზარდ სვა ლაიქვას, ბაზი ლაჯოგთე ღურიდ, ჭემ ჩვაშიდნას – ნუგზარმა ჩაიცვას, ამაღამ ლაჯოგს მივალთ, თივა ჩამომატანიინოსო.

ვინც სვანეთს არ იცნობს, გაკვირდება და ამ სტრიქონებში შეცდომას დაუწყებს ძებნას – სად თივობა და სად ზამთარიო, ივითხავს, ამიტომაც წინასწარ განემარტავ: ჯერ ერთი, თივობა კარგა ხნის ჩავლილი საქმე იყო, საფერძო თივა პირველ რიგში დაებინავებინათ, საშინაო თივების ჩამოტანა კი დაგვიანებოდათ, მეორეც ის, რომ არც თუ მთლად ზამთარი იყო, ნოემბრის პირველი კვირა იდგა, სვანეთში კი, იცოცხლე, ნოემბერიც ზამთარი იყო!

ბარში რომ დასაყრფი დაიფრფება და დასაწერი დაიწურება, ვაშლი და კომში რომ სხვენში შებარგდება და ხარისებზე ჩამოვწილალებულ ჩურჩხელებს მზე წითლად მიეფიცება, აქ, ამ მაღალ მთებში ძველ თოვლს ახალი თოვლი ემატება, წყლები იყინება, ბალანაშლილი საქონელი მანუბში ზანტად იცოხნება, ლაჯოგის სათიბებში კი გათბულ ფერდობებზე ქარი ცოცხით დათარეშობს და იმ საქონლის ზამთრის სარჩოს სქელ, ხორხოშელა თოვლს აყრის.

აი, ასეთი ნოემბერი იდგა იმ წელს ჯახუნდერში და ლაჯოგის მთებში რაღა იქნებოდა, სადაც ამინდის გაუარე-

ისურვა. „ჩაჯექი, ბიჭო, – უთხრა მამამ, – მერეც გეყოფა ფეხით სიარული!“

მარხილში რომ ჩაჯდა, ბარძაყზე ახალგამომცვარი პურის სითბო იგრძნო და, წაუტეხავო, – გაუელვა, მაგრამ გადაიფიქრა: ბნელოდა და სიბნელეში პურის წატეხა, რაკი ამას მამა ვერ დაინახავდა, როგორღაც უხერხული ეჩვენა.

მთელი საათი მისრიალებდნენ. ბიჭი თავისას ფიქრობდა და მამა თავისას. ვინ იცის, რას ფიქრობდა მაღალი და ხმელ-ხმელი, ფრონტებმოვლილი გოროზი კაცი. ბიჭი კი... ბიჭი ფიქრობდა ვრცელ ქვეყანაზე, რომელიც არ ჰგავდა ალბათ, პირქუშ სვანეთს, ფიქრობდა ჭრელ, მხიარულ ქალაქებზე და გველმშაპივით გაწოლილ, ვეება შავ ზღვაზე, რომელიც ასე კარგად გამოჩნდებოდა ჯვრის მწვერვალიდან გათენებისას...

გაისმა ტაბიკების ჩხარა-ჩხური და მარხილმა სვლას უმატა. ბიჭი მიხვდა, რომ გზამ ჩარლობის ხევი ჩაუხვია, ცოტაც და, მააფშნის აღმართს შეუდგებოდა. აქედან იწყებოდა მთა, რომელიც ტოლფერდა სამეუთხედს მიაგავდა: საჭირო იყო ცალი ფერდის ავლა, მწვერვალზე მოქცევა და იქიდან, პირიქით, მეორე ფერდის ჩავაკება ლაჯოგის სათიბებისაკენ.

„ჯვარ“ – ასე ერქვა საყვარელ მწვერვალს, რომლი-

გაგრძელება მე-6 გვ.





დანაც სულ მალე ხელისგულზე უნდა გამოჩენილიყო ვრცელი ქვეყანა.

დაღმართი მოთავდა, მარხილი ბოგირზე გასრილდა და აღმართს შეუდგა. ბიჭი მარხილიდან გადმოსტა და მამას შეუცადა. მამა მოადგა ცხენისწყალს და ასანთს გაკჭრა. თან სიგარეტს მოუკიდა და თან ბოგირზე ძელი დალანდა ფეხის დასადგმელად. შორს პირველად იყივლეს ჯახუნდერის მამლებმა.

—ეჰე-ჰე-ჰეი! — მოისმა შეღმართიდან.

—ჰეი, — ხმა გასცა მამამ. — მოვდივართ.

„მგლებს აფრთხობენ“, — გაიფიქრა ბიჭმა იმედიანად — ფეხი რეინაზე ელო, წვივში საკეტის წახნაგი სჩხვლელტა — მარხილში შამხანაც ჰქონდათ.

ხარები ქშენით შეუდგნენ ტყიან შეღმართს. გზა ნაცნობი იყო მათთვის, ტვირთი მსუბუქი ჰქონდათ და წინამძღოლი არც ახლა სჭირდებოდათ. მამა-შვილი უკან მოსდევდა მარხილს. „ხომ არ მოგშვიდა? — ჰკითხა მამამ.

—თუ ფურლელაგნამდე მოიცდი?“

—არა, — მიუგო ბიჭმა, — ფურლელაგნაზე კი არა, ბარემ ჯვარზე ვისაუნმოთ.

—აგრე აჯობებს, — თქვა მამამ.

გზა თანდათან ციცაბო შეიქნა და სიგრილემ იმატა. ტყე ძირს დარჩა და ცა შეთეთრდა. მეორედ იყივლეს მამლებმა. გამოჩნდა წვრილი არყიანი და მალე ისიც გათავდა. დაიწყო ალპური ზონა და რილო-ჭრილოები. ფურლელაგნას ქვემოთ ფიცრულში კაცის ჭაჭანება არ იყო. ეს გახლდათ მეძროხეთა საზაფხულო სადგომი, სექტემბერს აქეთ მიტოვებული, მაგრამ დასასვენებლად მაინც ვარგისი.

—რა მიაჩქარებთ! — თქვა მამამ და გზას დახედა: თოვლით მოფიფქული, გამზრალი ფერდობი აულილ მარხილს დაელიანდავებია.

გათავდა ციცაბო და მწვერვალს გადაადგნენ. ხარები თვითონ შეჩერდნენ პაწია ვაკეზე. გამთენიის ნისლი დააბოტებდა ირგვლივ და არაფერი ჩანდა ჯერჯერობით. ძლივს გაარჩიეს მეორე მარხილი. ხევრულასყა — ასე ერქვა პატარა ვაკეს, რომლიდანაც სულ მალე ხელის გულზე გამოჩნდებოდა მთელი ქვეყანა, „ჯვარ“ — ასე ერქვა საყვარელ მწვერვალს, რომელიც სულ მალე სამულველ მწვერვალად უნდა ქცეულიყო ბიჭისათვის.

\*\*\*

ჯერჯერობით კი მზე იყო მოსალოდნელი — მზე წითელი და ვეებერთელა, თუმცა უძლური და უსიცოცხლო. მამა-შვილი მარხილზე იჯდა და საუნზობდა. ნისლი როგორღაც მალე გაიკრება, მზე ამოიწვერა და გადასახედი გაეხსნათ. შორს დარჩა ვეება, ცისფერი წყალი და თურქეთ-აჭარის სანაპირო, უფრო ახლოს — იმერეთ-სამეგრელოს კორტოხები, კიდევ უფრო ახლოს — რაჭა-ლეჩხუმის ხაცილო მთები და ბოლოს, ხუთიოდ კილომეტრზე, ლაჯოვის თავქვე დაკიდული სათიბები.

ბიჭმა ლაჯოვში მარხილს მოკჭრა თვალი, მაგრამ მარხილთან არავინ იძვროდა და მიხვდა, საუნზობდნენ მემთეურნი. „ცოტაც და, ადგებიან, — გაიფიქრა ბიჭმა, — სანამ ჩავალთ, თივას დაუდებენ და გზად შემოგვხვდებიან“. თქმით კი არაფერი უთქვამს ბიჭს: მამა რატომღაც არ ჩქარობდა, რაღაც უცნაურად გარინდულიყო, მარხილის ჭაღს მიჰყრდნობოდა და დადლილი გამოიფურებოდა.

—მოვასწრებთ, მამი, — გაამხნევა ბიჭმა, — კარგი ამი-



ნდი გამოდის.

მამამ არაფერი უპასუხა, მაგრამ პაპიროსი გადაადგო. მერე მძიმედ წამოდგა. ბიჭი მკვირცხლად ჩამოსკუპდა მარხილიდან. ორივემ კარგად იცოდა, რომ მძიმე სამუშაო ჰქონდათ წინ: ოცდაოთხი ნაბარე, ოცდაოთხი მცირე ზვინი დადიოდა მარხილზე, მაგრამ აღმართში ერთ გზად ამდენის ატანა შეუძლებელი იყო და ქვემო ლაჯოვიდან ჯვარამდე ორი გზა ჰქონდათ გასაკეთებელი.

მძიმედ ჩაჰყვა მამა კიხლარის ფერდობს. აქ უკვე



წინამძღოლი იყო საჭირო, თანაც მაღალი, რაკი ბეჭი უღლისთვის უნდა მიეხვინა და დაქანებული ხარები შეეკავებია. ფრთხილად ჩაიკაკა კლდოვანი, დაიბული დაღმართი. აჟი „კიჩხ“ კიბეს ნიშნავს სვანურად. ბიჭი მარხილს ჩაბლაუჭებოდა და სიჩქარეს ანელებდა.

მარცხნივ და მარჯვნივ სამარხილე ბილიკებმა გაუხვია. „ღვედ“ ერქვა სათიბების ამ ზოლს. მამა-შვილს ბევრად ქვემოთ ჰქონდათ ნათიბი. ფრთხილად, ფრთხილად ადგამდნენ ფეხს თოვლწაყრილ, ვერცხლისფერად მზხინვარე მოკლე ბალახს.

აჰა, ქვემო ლაჯოვიც. მარცხნივ დანდა ურავის, ზიადის და ლეჩხუმის საცილო მთები. აგერ პაწია ყვაპე. მამა-შვილმა სექტემბერში ერთად გათიბა ეს ფერდობი. ბუბა და ბუხულაც აქვე თიბავდნენ, ხელმარჯვნივ. მაშინ ნახატს ჰგავდა სათიბი, ჭრელი ალბიური ყვაივლებით მოფენილიყო აქაურობა.

-ხოჩა, ლადელ! - მოესმათ მარჯვნიდან. - ცუდი ხომ არაფერი შეგემთხვათ?

-არაფერი, - მიუგო მამამ.

მოხერხებულად მოაბრუნეს მარხილი ყვაპეში და პირი შედმართისკენ უქნეს. ხარები არ გამოუშვა უღლიდან, ეჩქარებოდა მამას პირველი ხარდნის ჯვარზე ატანა. მთელ საათს მუშაობდნენ. დასცხათ და ტყაპუჭები გაიხადეს. იღებდნენ სათითაოდ ყოველ ნაბარეს, ფერთხავდნენ თოვლისაგან, აცლიდნენ სველ, შემპალ თივას და კოხტად, მოწიწებით დებდნენ მარხილზე.

შელმართში ბიჭის რივი იყო და ახლა ის წაუძღვა ხარებს. გამოცდილი იყო და ფრთხილობდა, სავალს ურჩევდა მარხილს. მამა დაღმართიდან მიუდგა მარხილს, ბეჭით გაამაგრა და ასე მიჰყვა. ხარებმა თითქოს იცოდნენ, რომ სარჩო მათი იყო, ისინიც ფრთხილობდნენ და, გამაგრულნი ცდილობდნენ მარხილი არ მოსცურებოდათ.

ქარმა დაჰქროლა და მარხილი შეატორტმანა. ისევ დაჰქროლა და წამოფიფქა. მამამ იჭვით ახედა დამხრჩვალ მზეს და სათოვლე ღრუბლებს.

ჯვარზე რომ ავიდნენ და ხევრულასყას პაწია მინდორზე მარხილი შეაჩერეს, უკვე გვარიანად წყნდა ქარი თივას. სათითაოდ გადმოაწყეს თორმეტი ნაბარე - თივის თორმეტი ბალიში და კვლავ ლაჯოვისაკენ დაეშენენ.

ისევ ფრთხილად ჩამოჰყენენ კიხლარის კიბეებს. ისევ ჩამოივაკეს ლაჯოვს და მარხილს პირი ისევ შედმართისკენ უქნეს. „რალაც ცუდად ვარ“, - თქვა მამამ, ხარდანთან მიწვა და ცას ახედა. სახედაღრეჯილმა ხელისგული გაშალა და ცას შეუშვირა. ქარმა დაჰქროლა და უკვე ღონივრად წამოფიფქა.

-ეჰე, თოვს! - თქვა ბიჭმა. - როგორა ხარ? ბუბას ხომ არ დაუუძახო, მამი?

-არ გინდა! - უთხრა მამამ. - გამივლის. ვიღას უნდა დაუძახო, ახლა ჯვარზე იქნებიან ასული.

-მე დაეაწყობ, - შეტრიალდა ბიჭი. - მე დაეაწყობ და შენ დაისვენე.

თორმეტი ნაბარე ფრთხილად, წესიერად დააწყო მარხილზე. ახლა განსაკუთრებული მონდომებით აწყობდა, რათა ჯვარზე რომ ავიდოდნენ, მარხილი დასაშლელი არ განდომოდათ, ხევრულასყას მინდორზე ატანილი წინა თორმეტი ნაბარე ზედვე დაეწყოთ და უმაღლვე დაძრულიყვნენ. ჩქარობდა, თივას აწყობდა, თან მამას თვალს არ აცილებდა.

უცებ ქარმა დაჰქროლა, ბიჭს თივის ბალიში წაარბოდა და წააქცია. ისევ დაჰქროლა ქარმა ლაჯოვისაკენ და მარხილს ხევრულიად წამოთოვა.

მამა წამოდგა, მარხილს ბეჭი შეუდგა და ჯვარს ახედა. ბიჭი საბელში სწვდა ხარებს და ისინიც უმაღ გაიძაგრნენ. თოვდა და თოვდა, ჰოი, რას თოვდა და რა ასასვლელი იყო ჩამოთეთრებული ფლატე!

ფრთხილად, ფრთხილად, კვლავ სავალი გზის შერჩევით მოიწვედნენ მაღლა-მაღლა ჯვრისაკენ. ქროდა ქარი, ციდან ფლატემდე თოვლის თოკები გაბმულიყო და ირგვლივ აღარაფერი ჩანდა. „ეჰე-ეჰე!“ - ჩამოესმათ ბუბას ხმა ხევრულასყას მინდვრებიდან. ვინ იცის, რას ფიქრობდა მამა, ბიჭი კი მამაზე ფიქრობდა შეშფოთებული. ახლა მთავარი იყო ჯვარზე გადამდგარიყვნენ ჯახუნდერის მხარეს. კიხლარის კიბეები აიარეს ზიგზაგურად და ერთხელ კიდევ გაიძაგრნენ ხარები.

ჯვარზე რომ აივაკეს და ბუბა შემოეგებათ, ბიჭს მამინდა გაუძრთელდა განახევრებული რწმენა. ბუხულა დატვირთულ მარხილთან იდგა, ხარებს რქებზე თოვლს აცლიდა, თვითონ მთლად გათეთრებულიყო. უძნელესი ფლატე ამოვლილი ჰქონდათ და, თუძცა ჯახუნდერამდე ხუთი კილომეტრი ციცაბო კვლავ წინ ედოთ, მთავარი სიძნელე მაინც ჩავლილი იყო.

ნამუადღევს ამოტანილი პირველი ხარდანი ქარს ვერ წაეღო, რადგან თოვლს მოესწრო და ნაბარები დაემძიმებია, თანაც ბუბა და ბუხულა მიჰპატრონებოდნენ. თორმეტზე ნაბარე მოკრიბეს და მარხილს დაუდეს. „უჰ, უჰ, რა კარგად ვარ,“ - უთხრა მამამ ბუბას, - ასე კარგად ჩემს დღეში არ ვყოფილვარ. აბა, დავეშვათ, მიშეუ ლადელ, თორემ დაგვალამდა...“

-ჩვენ წინ ვივლით, - თქვა ბუბა ვასილმა, - თქვენ მარხილის კვალს მოჰყევით. აბა, თქვენ იცით!

ბიჭი მხნედ დასწვდა საბელს და მამაც კვლავ ბეჭით შეუდგა მარხილს. ჩავლილი მარხილის კვალი უმაღლვე ჩქარი თოვლით წაიშალა და გზა არ ჩანდა, ამიტომ მაინც დიდი სიფრთხილე იყო საჭირო.

მარხილი დაღმართში ფრთხილად მისრიალებდა, მამა-შვილი ახლა ჩავლილ საშიშროებაზე ფიქრობდა და ორთავეს როგორღაც გული ჩასტყვიებოდა.

უცხად, მარხილი მამის მხარეს მოცურდა, მაგრამ უმაღლვე გასწორდა. უცნაურად მოცურდა, ისეთ ადგილზე მოცურდა, სადაც ძნელი იყო მარხილის გატარება და არ უნდა მოცურებულიყო. „გაჩერე! - მოესმა ბიჭს. - ცოტა ხანს გააჩერე...“

ბიჭმა მარხილი გააჩერა და განკარგულებას დაელოდა. წელამდე თოვლში იდგა და თოვლის მეტს ვერაფერს ხედავდა. თოვდა, თოვდა გაჩქარებით: ხარებიც, მარხილიც, გზაც და მამაც, რომელიც ბეჭით მარხილს მიჰყვანდებოდა, ყველაფერი თეთრი იყო.

-ჰოუ! - გასძახა მამას და თოვლში ფეხის მონაცვლებას ცადა.

პასუხი არ იყო. -ჰოუ! - გასძახა ისევ. - წავიდეთ?

არც ახლა იყო პასუხი.

ბიჭმა საბელს ხელი უშვა და თოვლში ბორძიკით რამდენიმე ნაბიჯი წადგა. მამა იქ არ იდგა, სადაც უნდა მდგარიყო. უცხად, გაშეშებულ ფეხს წამოეღო და კინაღამ წა-





იქცა. „ცუდად ვარ, შვილო“, – ამოთქვა მამამ. მარხილთან მიწოლილიყო თოვლში და მძიმედ, აჩქარებით სუნთქავდა.

– ბუბა! – იყვირა ბიჭმა. – გვიშველე, ბუბა!

ქვემოდან პასუხად გაურკვეველი ძახილი მოისმა.

ბიჭმა მამასთან ჩაიმუხლა და სახეზე თოვლი მოსწმინდა. „მამა, მამა!“ – ჩასძახა გაოგნებულმა, სხვა სიტყვა ვერ ეპოვნა. არც გაუგია, როგორ წაადგათ თავს ბუბა ვასილი. ბიჭი მოაცილა და ახლა თვითონ ჩაიმუხლა. „რა მოგივიდა? – ჰკითხა დაბნეულად. – მთლად გალურჯებულხარ“... „მცივია... – ამოთქვა მამამ, – ცუდად ვარ!“

„ცეცხლს დაეანთებ, – უთხრა ბიჭს ბუბამ, – ფიცრულში ჩავირბენ და ცეცხლს დაეანთებ...“

ბუბამ დაღმართი გიჟივით ჩაირბინა და თვალს მიეფარა. ფიცრული ნახევარ კილომეტრზე იყო. მამა-შვილი მარტო დარჩა.

„შევიძლია წამომავნო? – ჰკითხა მამამ, – უღელს ხელს მოკვიდებ და ნელა ჩავალთ ფიცრულამდე...“

წამოდგნენ. ძლივს მივიდნენ უღელამდე. მარხილი ხელს შეუშლიდათ ნელა სიარულში. ბიჭმა ხარები გამოხსნა მარხილს და დაიდრნენ. მამა მთლად მოეშვა და უღელს გადმოეკიდა. ბიჭი ხელს აშველებდა, არ გადმოვარდესო, თან ხარებს წინ უძღოდა. გული უფრთხილვებდა. ფიზიკური და სულიერი დაძაბულობისგან კანკალმა აიტანა.

უცებ მამის სხეული ბიჭს დააწვა მთელი სიმძიმით. მოცურდა უღლიდან და თოვლში გაიშალა. ორთავენი თოვლში იწვნენ. ხარები თავს ადგნენ მამა-შვილს. „შვილო, – წყნარად თქვა მამამ. – ბავშვებს მიხედე და დედას პატივი

ეცი... ხე-ტყე მოზიდული გვაქვს, შენ იცი, ზემო სართულს თუ გააწვობ“...

თავი გადაუვარდა და დადუშდა. ყველაფერი გათავდა. ბიჭი წამოვარდა და გაქცევა დააპირა. უცბად თვალეშში სისხლი მოაწვა და საფეთქლებმა ტეხვა დაუწყო. იწვილა ყურში ქარმა და თვალთ დაუბნელდა...

გონს რომ მოვიდა, ფეხზე იდგა და სციოდა. ათოვდა შუბლზე და ათოვდა მხრებზე. ათოვდა მამასაც. შრიალებდა ყრუდ და ბუზღუნებდა თოვლი. ძირს ბუბა ვასილის ცეცხლი აბრიალდა ფარღალადა ფიცრულში, მაგრამ გვიანდა იყო.

დაიხარა თორმეტი წლის კაცი, რაღაც ყრუ, გაურკვეველი ბგერები აღმოხდა და, როგორც შვილის წესია, მამის ცხედარი გაასწორა.

\*\*\*

აი, ეს პაწია ამბავი მიაბბეს ლაშხეთს და ეცერიდან გწერთ. შემეძლო განა არ მომეწერა? შვიდი შვილი რჩებოდა გელა ონიანს ობლად და მაინც გულმშვიდად შეეძლო ქვეყანას გამოსთხოვებოდა, რაკი ანდერძს მშრომელსა და უნარიანს, მხნესა და მამაც ვაჟს უტოვებდა.

ხოლო როგორ შეუსრულა თორმეტი წლის ქორამახვშიმ ანდერძი მამას, ეგებ თვითონ შეიაროთ როგორმე ლაშხეთს და საკუთარი თვალით ნახოთ – არაფერს იზარალებთ პირქუში, მაგრამ მშვენიერი სვანეთის ხილვით.


მხატვარი ვახტანგ მონიანი



# მარიამ ასათიანი

მარიამი ოცნებობს, თავისი დიდი მოგვარის, მაკა ასათიანის სადარი მოდელიერი გახდეს და თუ თოჯინებისთვის შეკერილი კაბებით, მისი ნახელავი სამაჯურებით, მძივებით შესრულებული აპლიკაციებით თუ ნაქარგებით ვიმსჯელებთ, უნდა ვიფიქროთ, რომ გოგონას ოცნებას ფრთები შეესხმება, თუ, რა თქმა უნდა, ამასობაში სხვა გატაცებამ არ გადასდია.

მომავალი მოდელიერის ყოველ ნამუშევარს მისი შემქმნელის ფანტაზიის, იმპროვიზების სიყვარული, უკვე ჩამოყალიბებული გემოვნება და სტილის შეგრძნება ატყვია. როგორც კი მორიგ თოჯინას აჩუქებენ – ეს კი საკმაოდ ხშირად ხდება – პირველ რიგში, ჩასაცმელ-დასახურს შეუმიწმებს და იშვიათად, რომ ხელუხლებელი დატოვოს. გახდის, კაბა იქნება თუ ქუდი, გადააკეთებს, ზედმეტს მოარღვევს, რაღაც დეტალს დაუმატებს, გადაასხვავებებს და ისეთ ორიგინალურ მოდელს შექმნის, ყველას თვალი ზედ რჩება. მარიამს ძალიან უყვარს მძივებით მუშაობა. ისე შეუსამებს მარცვლებს ერთმანეთს ფერების, მოყვანილობის და ზომის მიხედვით, რომ ყოველი მისი ასეთი ნახელავი ხელოვნების დასრულებული ნიმუშია. უამრავი ნაირ-ნაირი მძივი აქვს თავის ზარდანში და მტრისას, თუ ვინმემ ხელი ახლო ამ ავლადიდებას. ამას წინათ მის ძმას, გიორგის რატომღაც სულ ცოტა მძივი მოუკლია დის საგანძურისთვის და ისეთი ამბავი დააწია, მწარედ სანანებელი გაუხდა. ცხადია, წყენამ და ბრახმა მალევე გადაუარა, მით უმეტეს, რომ სულ მალე მასთან ერთად მორიგ კონცერტზე დუეტი უნდა ემღერა. ხომ არ გაგიკვირდათ? ავი ზემოთ ვახსენეთ, მარიამს ახლავე ბევრი გატაცება აქვს, ჰოდა, სიმღერა ერთ-ერთი მათგანია, მარიამ ასათიანი, ისევე როგორც მისი ძმა, ვოკალური სტუდია „მეკლე“ სოლისტა და როგორც მომღერალს მრავალი ჯილდოც აქვს მიღებული, მათ შორის: თბილისის მერიის ახალგაზრდობის საქმეთა საქალაქო სამსახურის ვაკე-საბურთალოს რაიონული განყოფილების დიპლომი (ბავშვთა და მოზარდთა საესტრადო სიმღერისა და თანამედროვე



ცეკვის ფესტივალში მონაწილეობისთვის), დიპლომი I ადგილისთვის (ქუთაისის ოპერის თეატრში გამართული შოუ-ფესტივალი „საქართველო 2001“), ახალგაზრდა მომღერალთა მუსიკალური ასოციაცია „პარმონია“-ის დიპლომი (საბავშვო-საყმაწვილო ფესტივალი „მომავალი“), რეინიგებულთა კულტურის ცენტრის კავშირის დიპლომი და სხვა. მარიამი გიორგისთან ერთადაც მღერის და და-ძმა ასათიანების დუეტმა ბევრ პრესტიჟულ კონკურსზე, ფესტივალზე თუ სხვა დათვალიერებაზე მიიპყრო პროფესიონალი სპეციალისტებისა თუ უბრალოდ მსმენელის ყურადღება. ასათიანების ოჯახში სათუთად შენახულ შეილებს ჯილდოებს შორის მარიამის და გიორგის მიერ „საუკეთესო დუეტის“ ნომინაციაში მოპოვებული დიპლომ-სიგელებიც მრავლად არის. ბოლო დროს კი ამ უკვე საკმაოდ მოზრდილ კოლექციას შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის მიერ დაწესებული სპეციალური პრიზი-თასიც შეემატა.

მარის კიდევ ერთი გატაცებაა ცეკვა. სკოლის სტუდიაში ხომ დადის ცეკვანზე, მაგრამ თითქოს იქ არ კმაროდესო, სულ ცეკვავს, სულ თითის წვერებზე უკლის მიულ ბინას. საუცხოო მუსიკალობას პლასტიკურობაც ერთვის და ისე დაცქრიალებს, მის შემყურეებს აფიქრებინებს ხოლმე, არა, ამ ბავშვის მომავალი ნამდვილად მოცეკვავეობაა, მაგრამ ხატვითაც რომ კარგად ხატავს მარიამელა?! მის ნახატებში მათი შემქმნელის ხალისიანი ხასიათი, სამყაროს ლამაზ ფერებში დანახვის უნარი და მახვილი თვალი იგრძნობა.

ყველაფერთან ერთად, მარიამი ცურვანზეც დადის და იქაც კარგი მაჩვენებლები აქვს, წარმატებით ეუფლება იგი ინგლისურსაც. არ იფიქროთ, თითქოს ამდენი რამით რომ არის გატაცებულ-დაკავებული, სკოლაში სწავლაში ხელი ეშლებოდეს, მარიამ ასათიანი თბილისის კეთილშობილ ქალთა და ვაჟთა საგანმანათლებლო პანსიონის მეოთხე კლასში ერთ-ერთი საუკეთესო მოსწავლეა, ხალისიანი და გონიერი გოგონა მასწავლებლებსაც უყვართ და ტოლ-ამხანაგებსაც. მარიამი სიამოვნებით, შესაშური მუყაითობით სწავლობს ყველა საგანს, იმდიდრებს ცოდნას, ეს კი იმას ნიშნავს, რომ სამომავლოდ კარგ საფუძველს იძენს და ახლავე შეიძლება ითქვას, რომ რომელი გატაცებაც არ უნდა იქცეს მისი ცხოვრების საქმედ, მარიამ ასათიანის სახით საზოგადოებას შემოქმედი, საინტერესო და ნათელი პიროვნება შეემატება.







თინათინ მთივრიძე იმ 3 ქართული გიმნაზიის მეთავეკაცს...  
თინათინ ძარიან უყვანს მუსიკა, რიტორიკა, უფრო კი პოეზია. მუსიკა  
ბიძან კი მისი ჩმეულები გარღვნი, გინგვი რენიძე, მსოა ნიშნი-  
ანიძე და ჩაჭი ამარღბერი აჩიან. ჩღრჩე თავად გამღყედა, გრმღ-  
ღვინე და ბეჭით სურაყ არ ეთქმის, სურის სავნებრიდანაყ მხღღღ  
რიტორიკურჩას ზა ისღრჩიას სწავღღღს ხარისით. თინათინ რეღღღში  
ავღღღის მიღღღებე, პეტერი სური იგინღღღა.

კიღღღ კრთნელ კკღღ.  
კიღღღ კრთნელ კკღღ  
შენს ღაბრუნებას,  
კრთნელ მაინკ თუ არ ღაბყეკები  
ჩემს ბავშურ ნებას.  
წავღღ და სეკღღთ გავღღღები  
წვიმის ღინებას.

...

ოღღღმე მაინკ გამოიგანს ნეები კვირღღღს,  
ოღღღმე მაინკ აამღღღებს მზის სნივი ჩიღღღს,  
ოღღღმე მაინკ შენ მონვალ ჩემთან  
და მუნღღს მოიყრი წარსულ ღღღღებთან,  
ოღღღმე მაინკ ღაინურება ალოღღღები ღაღღღოღ  
მკღღღებით  
და ტკბილი წკენით გღღღავღება მუქი ფერები,  
ოღღღმე მაინკ შენს ნყავღღღეს წაშღღღის ტღღღღები...

მოვალ...

ღღღეს მოვალ შენთან  
გარღღღი იმღღღები რომ გავამუქო,  
მოვალ იმიღღღომ, რომ გწაფენუღღღის სურწღღღება  
მეკ გღღღმღღღოს  
და ყვავიღღღების ფერი ღამღღღოს  
ფერმკრთალ ხანკე,  
მე მოვალ, რათა კრთალ ეწანოთ  
როგორ იფეტქებს ბაღში აჭმები.  
ვიცი არ მელი,  
მაგრამ მე მოვალ.  
მოვალ იმიღღღომ,  
რომ გარღღღი იმღღღები გავამღღღო.

მენატრები...  
განშორებამ ცრემლი შობა,  
და სიცივიტ გარღღღი  
უღღღობელი ღღღღი მღღღა.  
ნუთუ ისეე ღაინყება წამთრის ქარი,  
ჩემს გწაფენულს ნუთუ ისეე ღაათოღა?  
მენატრები, ცრემღღღების ზღღღა წამოვიღა  
და წაღღღა პაწაწინა ყვავიღღღების ღღღღი გროღღა,  
მენატრები...  
უშენობამ ჩამოთოღა.

ღაბრუნება

უნღღა ღაბრუნღღე,  
სწეა გწა არ არის,  
ღრთ ნომ ისეღღაღ უღღღობღღაღ გღღღის,  
თუ შეგღღღოღა, გთნოვ, მაინკ მენღღე,  
თორემ მზე ჩაღღის, თორემ მზე ჩაღღის...  
უნღღა ღაბრუნღღე  
და ღაბრუნო გწაფენუღღღები.  
რომ ისეე ღაათბეს,  
რომ არ ღანამორღღეს,  
უნღღა ღაბრუნღღე.

...

მე წვიმას კუკღღი  
გწაფენუღღღის წკრიაღღა წვიმას.





# „ნიშანნი ხარისხისა და პატივისხენი“

გერბი არის ემბლემა, მეძვე-  
დროებითი გა-  
ნმასხვავებელი  
ნიშანი საგა-  
ნგებოდ განლა-  
გებული საგნე-  
ბითა და ფიგურ-  
ებით, რომლებსაც სიმბოლური მნიშვნელობა ენიჭება, გერბი მფლობელის ისტორიულ ტრადიციებს გამოხატავს.

აი, როგორ განმარტავს გერბის მცნებას იოანე ბატონიშვილი თავის ნაშრომში „კალმასობა“: „ღერბნი არიან ნიშანნი ხარისხისა და პატივისანი, წარმოდგენილნი ფერებითა და ნაკვეთებთაგან ფარსა ზედა ანუ გულსა ზედა ღერბისა განსხვავებისათვის გვართა ანუ შთამომავლობათა და საკუთართა ადგილთა და ქვეყნიურობისათა“. პირველი გერბები უძველეს ხანაში შეიქმნა და მათ პირველხედ მიჩნეულია ტომის ან გვარის მფარველი ცხოველების თუ ფრინველების გამოსახულებანი პირველყოფილ საზოგადოებაში. მერე და მერე გერბებმა მეტი დატვირთვა და მნიშვნელობა შეიძინა, ისინი გამოისახებოდა ბეჭდებზე, მონეტებზე, დროშებზე, იარაღზე, საყოფაცხოვრებო ნივთებზე და სხვა.


800-900 წლის წინათ, როცა ჯერ არც თოფი არსებობდა და არც რევოლვერი, მეომრები რუკის საჭურველით შემოსილები იბრძოდნენ, რუკის აბჯარ-მუხარადით აღჭურვილნი ეკვეთებოდნენ ხოლმე ერთმანეთს რაინდთა ტურნირებში სახელისა და დიდების მძიებელი მეტოქეები. რაღაცნაირად ხომ უნდა განესხვავებინათ მოწინააღმდეგენი და აი, ასე გაჩნდა რაინდთა ფარებზე განსაკუთრებული ნიშნები და როგორი ზარადითაც უნდა ჰქონოდა რაინდს სახე დაფარული, ამ ნიშნების წყალობით, მისი ვინაობა ყველასთვის საცნაური ხდებოდა. ასეთი ნიშნები მეძვედროებითი გახდა – მამისგან შვილს გადაეცემოდა, მერე – შვილიშვილსა და შვილთაშვილს და ეს უკვე ერთი რომელიმე რაინდის კი არა, მთელი გვარის ნიშანი ხდებოდა. ამ ნიშანს „გერბი“ ეწოდა, რაც ქართულად „მეძვედრეს“ ნიშნავს. თავიდან გერბები ძალზე მარტივი იყო, დროთა განმავლობაში კი უფრო და უფრო გართულდა.

ჯვაროსნული ლაშქრობების ეპოქაში (XI-XII საუკუნეები) გერბები ძალზე ფართოდ გავრცელდა. ვინაიდან თავით ფეხებამდე რუკის აბჯარ-მუხარადით შემოსილ მეომრებს შორიდან უფრო ხშირად სწორედ გერბებით ცნობდნენ ერთმანეთს, გერბები თვალშისაცემი, ჩახჩახა ფერის და ადვილად აღსაქმელი უნდა ყოფილიყო. იმხანად გერბებზე მათი მფლობელების ფიგურები ჭარბობდა, თუმცა იმავე პერიოდში მათზე გაჩნდა მითოლოგიიდან თუ


ცხოველთა სამყაროდან აღებული ფიგურები – მარტორქა, დრაკონი, ლომი, არწივი, ჯიქი, არწივლომი და სხვა. თუმცა რაინდების დრომაც ჩაიარა, აღარც ჯვაროსნული ლაშქრობები იმართებოდა, გერბები არამცთუ დარჩა, უფრო და უფრო ფართოდ გავრცელდა. ის კი არა, გაჩნდნენ სპეციალისტები, რომლებიც გერბების შედგენაზე მუშაობდნენ, იშვა მთელი მეცნიერება გერბების შესახებ – ჰერალდიკა.

თქვენ იტყვიან, თუ რაინდები აღარ იყვნენ, გერბები რაღა საჭირო იყო? მოგახსენებთ. გერბმა ახლა უკვე სხვა მნიშვნელობა შეიძინა: იგი იმაზე მეტყველებდა, რომ მისი პატრონი უბრალო ადამიანი, გლეხი ან ხელოსანი კი არ იყო, არამედ ცნობილი, დიდგვაროვანი ადამიანი, გრაფი, ბარონი, ჰერცოგი ან თავადი გახლდათ. ასეთებმა დაიწყეს საკუთარი ციხე-დარბაზების თუ სასახლეების ალყაფის, კარეტების კარების, დაშნების გერბებით მორთვა-დამშვენება. გაჩნდა საგანგებო წესები, რომლებშიც მითითებული იყო, ვის შეეძლო საკუთარი გერბი ჰქონოდა.

შუა საუკუნეებში ბევრი გვირგვინოსანი და დიდგვაროვანი ფეოდალი ფრინველთა მეფეს ირჩევდა საგვარეულო ემბლემად. არწივის ყველაზე ძლიერი მეტოქე კი ლომი იყო, თუმცა ნადირთა მეფის გერბზე გამოსახვის მსურველები ძალზე ხშირად სირთულეებს აწყდებოდნენ. ძველი ტრაქტატების ავტორებმა დაადგინეს წესი, რომლის თანახმად-



იაპონია



ორბელიანები



ჟანა ღარბი



ავსტრია



შვეიცარია

გაგრძელება მე-12 გვ.



დაც ჰერალდიკური ლომი უკანა თათებზე უნდა იდგეს და პროფილში უნდა იყოს შებრუნებული. იშვიათად მას ოთხ თათზე მდგარს გამოსახავდნენ და მაშინ ლომი „დაყენებული“ იყო. თუ ლომი სამ თათზე დგას, თავი კი მაყურებლისკენ აქვს შებრუნებული, ეს უკვე ლომი კი არა, ჯიქია. ხოლო თუ ჯიქი თავს პროფილში მოაბრუნებს, იგი უმაღლესი „ჯიქისებრი ლომი“ ხდება, მაშინ როცა მაყურებლისკენ შემობრუნებულითაიანი ლომი „ლომისებრი ჯიქი“ ხდება. აი, ხედავთ, რა სირთულეებია?!

XIV-XV საუკუნეებში ჰერალდიკამ მყარად მოიკიდა ფეხი რაინდული საზოგადოების ცხოვრებაში და თავისი დალი დაატყო ამ ცხოვრების გარეგნულ ფორმებს, ფეოდალურ ყოფას და ხელოვნებას. საქმე იქამდე მივიდა, რომ დიდგვაროვანი ბატონები ტანსაცმელსაც კი საკუთარი გერბის ფონის ფერისას და ჰერალდიკური ფიგურებით დაქარგულს იცვამდნენ.


ლამაზი ლეგენდა გვიამბობს, რომ ერთ-ერთი ბრძოლის დამთავრების შემდეგ გმირი ავსტრიელი ჰერცოგის თეთრი სამოსელი ერთიანად მტრის სისხლით იყო შეღებილი, მხოლოდ ქამრის ქვევით დარჩენილიყო თეთრი. ჰერცოგს ახალი გერბი ებოძა – თეთრი ქამარი წითელ ფონზე; ეს ფერები დღემდე შენარჩუნებულია ავსტრიის სახელმწიფო გერბსა და დროშაზე.

ინგლისელ და ფრანგ ფეოდალებს შორის მიმდინარე ასწლიანი ომი, ჯიქისა და შროშანის ომის სახელითაც არის ცნობილი. სტილიზებული შროშანის ყვავილი კაპეტინგთა გვარის საფრანგეთის მეფეების საგვარეულო ემბლემა

იყო. ეს დინასტია 1328 წელს შეწყდა და საფრანგეთის ტახტის მაძიებელთა შორის იყო ინგლისის მეფე ედუარდ III ლანკასტერთა დინასტიიდან. განრისხებულმა იმით, რომ ფრანგმა ფეოდალებმა თავიანთ მეფედ პრინცი ფილიპ VI ვალუა აირჩიეს, ნიშნად იმისა, რომ ხელს არ იღებდა თავის პრეტენზიებზე, ედუარდმა შეცვალა ინგლისის გერბი: შუახე

და ინგლისის მეფეები იმგვარად ღივანდნენ უარი ეთქვათ საკუთარ გერბზე ოქროს შროშანების გამოსახვაზე. ჟანა დარკს კი საფრანგეთის მეფემ პირადი გერბი უბოძა. ფრანგი ხალხის ეროვნული გმირის გერბი ასე იკითხებოდა: ლაჟვარდოვან ფონზე ოქროს მახვილი, აქეთ-იქიდან თითო ოქროსფერივე შროშანი და ზედ წაშლილი ოქროს გვირგვინით.

საკუთარი გერბები ჰქონდათ ქალაქებს, ხელოსნებს, ვაჭრებს, რომლებიც საკუთარი ნახელავის თუ საქონლის გასაღების მიზნით ქმნიდნენ ამქრებს, გილდიებს, ხოლო მათთვის კანონიერების მისანიჭებლად მათ გერბებით აღჭურვაზეც ზრუნავდნენ. ამგვარი კორპორაციების გერბების შედგენისას ძირითადად პრაქტიკული მიზნებით ხელმძღვანელობდნენ. მაგალითად, ყასბების გერბზე ხარი იყო გამოსახული, დალაქებისაზე – მაკრატელი და სამართებელი, მეწაღეებისაზე – ჩექმა, ხილით მოვაჭრეებისაზე – მსხმოიარე



ვაჭრა და გადაკვეთა ფარის ფონი, მის მეორე და მესამე მეოთხედებში ტრადიციული ჯიქები დატოვა, პირველსა და მეოთხეში კი ლაჟვარდოვან ფონზე სამ-სამი შროშანი მოათავსა. ხოლო ეს იმას ნიშნავდა, რომ ამიერიდან ინგლისის გერბი საფრანგეთის სიმბოლურ გამოსახულებასაც შეიცავდა. ეს ომის საბაბი გახდა და ომს, რომელიც ედუარდის ამ ნაბიჯს მოჰყვა, ასწლიანი ეწოდა. ჯიქი ამ ომში აგრესორის როლს ასრულებდა: თითქმის გამუდმებით უტევდა და კინაღამ საფრანგეთის მთელი ტერიტორიაც დაიპყრო. მაგრამ საბოლოოდ ომის ბედი სხვაგვარად წარიმართა: ფრანგების არმიამ ჟანა დარკის სარდლობით ბრწყინვალე გამარჯვება მოიპოვა

ხეხილი, გემთმშენებლებისაზე – მშენებარე გემი და ა.შ. ამგვარად ამეჭვავებელი გერბები მართო ვაჭარს და ხელოსანს კი არ ეხმარებოდა, არამედ მომხმარებელსაც. ბევრმა მათგანმა დღემდე მოაღწია და მრავალ ქალაქში ახლაც იხმარება.

გარდა ამისა, გერბები ქალაქებსაც ჰქონდათ და აქვთ. მათ ერთგვარად შუალედური ადგილი ეკავათ ფეოდალურ გერბებსა და კორპორაციათა გერბებს შორის. მაგალითად, პარიზის გერბზე მთავარი ფიგურაა გემი – ვაჭრობისა და სავაჭრო კომპანიების სიმბოლო. ასეთივე გერბები გამოსახულია ნანტის, ლაროშელის და საფრანგეთის სხვა სავაჭრო ქალაქების გერბებზე, მაგრამ პარი-



ხის გერბზე მთავარია ლაჟვარდო-  
ვან ფონზე მიმობნეული ოქროს  
შროშანები - კაპეტინგთა ძველი  
ემბლემა (პარიზი სწორედ ამ დი-  
ნასტიის მფარველობაში იყო).  
ბელგიისა და ნიდერლანდების  
მრავალ გერბზე გამოსახულია  
ლომი - ბურგუნდიის ჰერცო-  
გთა ემბლემა.

დრო გადიოდა, დავიწყებას  
მიეცა რაინდთა ბრძოლები და  
ტურნირები. XVII-XVIII საუკუ-  
ნეებში ძირითადი ყურადღება  
გერბის მთავარ ნაწილს, ფარს  
კი აღარ ეთმობა, არამედ იმას,  
რაც მასზე გამოისახებოდა -  
გვირგვინს, მუზარადს, მანტიას  
და სხვა. ამან კი შედეგად მო-  
იტანა ის, რომ ხშირად გერბე-  
ბზე გადაპრანჭული და ზოგჯერ  
გაურკვეველი დეტალების ისეთი  
რაოდენობა ხვავდებოდა, რომ  
ძნელი გასარკვევი ხდებოდა, მა-

ინც რა აზრი იყო ჩადებული  
თავად გერბში.

ამასობაში დადგა დიდი გა-  
რდაქმნების, ძველის ნგრევის,  
ახლის დამკვიდრების, რევოლუ-  
ციების ეპოქა, რომელმაც ყვე-  
ლაფერთან ერთად ახალი  
ემბლემებიც მოიტანა. 1789-  
1794 წლების საფრანგეთის ბუ-  
რჟუაზიულმა რევოლუციამ სა-  
სიკვდილო დარტყმა მიაყენა ფე-  
ოდალიზმს. ქვეყნის დამფუძნე-  
ბელმა კრებამ გააუქმა ყველა  
თავადაზნაურული წოდება და  
მათთან ერთად ყველა საგვა-  
რეულო ტიტულიც და პირადი  
ემბლემაც. ხოლო მეფის ხე-  
ლისუფლების გაუქმებასთან  
ერთად საფრანგეთის სახე-  
ლმწიფო გერბზე მეფის გვი-  
რგვინი წითელმა ფრიგიულმა  
ჩაჩმა, ოქროს შროშანები კი  
აღამიანისა და მოქალაქის

უფლებათა დეკლარაციის სი-  
ტყვებმა შეცვალა, კაპეტინგთა  
დევიზის ნაცვლად გაჩნდა ლო-  
ზუნგი: „თავისუფალი სიცო-  
ცხლე ან სიკვდილი!“

საქართველოში უძველეს ხა-  
ნაში იქმნებოდა ემბლემები  
(ლომი, გველეშაპი, მთვარის  
ღვთაება, ჯვარი წრეში, წმი-  
ნდა გიორგი), რომლებმაც მო-  
გვიანებით ჰერალდიკური მნი-  
შვნელობა შეიძინა. ჩვენში გა-  
ნსაკუთრებით მრავლად სხვა-  
დასხვა ემბლემებიანი საბეჭდავები  
შემორჩა, რომელთაგან ყველაზე სა-  
ინტერესოა მეფე გიორგი III-ის სა-  
ხელმწიფო ოქროს ბეჭედი (XII ს.)  
წმინდა გიორგის გამოსახულებით.  
საგერბო ემბლემებს ქართველები  
დროშებზეც გამოსახავდნენ, ჰერა-  
ლდიკური სიმბოლიკა ჰქონდათ ჩვენს  
ცალკეულ სამეფო-სამთავროებსაც  
და საგვარეულოებსაც.


თუ გერბებმა და ჰერალდიკამ დაგაინტერესა, მონაწილეობა მიიღე ჩვენს კონკურსში. აღწერე, რა  
თვისებებით უნდა გამოირჩეოდეს ადამიანი, რომლის გერბზეც ლაჟვარდოვან ფარზე გამოსახულია  
გემი, ჯვარი, ცხენი და ია. ფერები თვითონ აირჩიე. დახატე ეს გერბი და გამოგვიგზავნე. საუკუ-  
თესო ნამუშევრები გამო-  
ქვეყნდება „ნაკადულში“;

გამარჯვებულები კი და-  
ჯილდოვდებიან. ამოცანის  
შესამსუბუქებლად გთავა-  
ზობთ რამდენიმე განმა-  
რტებას და ნიმუშს.




1. ჰერალდიკური ფარების ნიმუშები (1-11)

კლასიკური ჰერალდი-  
კის კანონების თანახმად,  
გერბი შედგება ფარისგან  
(ანუ გულისგან, როგორც  
იოანე ბატონიშვილი  
უწოდებს), პატრონის რა-  
ნგის განმსაზღვრელი მუ-  
ზარადის და გვირგვინი-  
სგან და ფარის ჩარჩო-  
სგან - ფარის დამჭერის,  
მანტიისა და დევიზისგან.



2. საბატიო ჰერალდიკური ვიზუალები (16-28) და ფარის დამჭერი (12-15)

ჰერალდიკაში მიღებუ-  
ლია ფერების ასეთი სიმბოლიკა: რადგან ოქრო ლითონთა მეფეა, ამდენად ოქროსფერი გვარი-  
შვილობის და სიმდიდრის სიმბოლოა, ვერცხლი - უმწიკვლოებისა და სათნოების, წითელი -  
სიმაჰაცის, ლაჟვარდისფერი - დიდსულოვნების, მწვანე - იმედის, შავი - სიბრძნის და სევდის.  
ფიგურები. თუ ფარზე მხოლოდ ერთი ფიგურაა, ის ყოველთვის ცენტრშია განლაგებული.  
თუ ფიგურა რამდენიმეა, მათ ფარის მთელი სივრცე უნდა დაიკავონ ისე, რომ მის კიდეებს  
არ შეეხონ.



3. მემორიზაციისთვის ჰერალდიკური ვიზუალები (29-33)



# მომავლის მომზადელი „სარემელი“

საკუთარი კერძო სკოლის დაფუძნება რომ განიზრახა, ბაია გაბაიძეს მისი სახელწოდება არ შეურჩევია, რადგან ფიქრობდა, რომ ის მომავალში საქმიანობის კარნახით, მუშაობის პროცესში დაიბადებოდა.

შეგნებულად შეარჩია ძველი პედაგოგიური ღონისძიებები თავისუფალი ახალგაზრდა სპეციალისტები, რომლებიც მისი რწმენით, უფრო თამამად, მეტი მონდობით და პასუხისმგებლობით მოქმედებდნენ ხელს სკოლის საძირკველში ჩადებული იდეის განხორციელებას.



მაგრამ ოფიციალური საბუთების გაფორმებისას დასაფუძნებელი სასწავლებლის სახელი მოსთხოვეს და დიდი ფიქრის გარეშე უპასუხა - „სარემელი“. როგორც მერე და მერე საქმემ გამოაჩინა, დირექტორის სკოლის სახელის დარქმევისას იმავდროულად მისი კრედი, მიზანი და დანიშნულებაც განუსაზღვრავს. ამ არასახელმწიფო სკოლაში ბავშვებს ცოდნის სამყაროსკენ, მომავლისკენ, ნათელისკენ უღებენ სარემელს და ამ სარემლიდანვე აჩვენებენ იმ ერთადერთ სწორ გზას, რომლითაც ყოველმა ჭეშმარიტმა მამულიშვილმა უნდა იაროს.

ყველაფერი ნულიდან დაიწყო. მოსწავლეთა კონტინენტის მოსახიდად არც დიდი ხნაური აუტენიით და არც სარეკლამო კამპანია გაუჩაღებიათ. ნელ-ნელა გავრცელდა ხმა, რომ იხსნებოდა საინტერესო პროგრამით მომუშავე კერძო სკოლა, სადაც სწავლის გადასახადი მინიმალური იქნებოდა და მშობლებმაც ერთი მეორის მიყოლებით დაიწყეს ბავშვების „სარემელში“ მოყვანა. ახალი სკოლისთვის პირველ სასწავლო წელს I-VI კლასები დაკომპლექტდა, დღეს კი, არსებობის მესამე წელს, „სარემელში“ უკვე VIII კლასიც ჰყავთ, ხოლო სულ სკოლაში 82 მოსწავლეა.

სწავლება ძირითადად სახელმწიფო სკოლების პროგრამით მიმდინარეობს, თუმცა მასში სკოლის მიზნების შესაბამისი ცვლილებებიც შეაქვთ და სახელმძღვანელოებსაც საკუთარი მოსაზრებებიდან გამომდინარე ირჩევენ. მასწავლებლებად ბაია გაბაიძემ

მხელეს, ყოველგვარი სიახლის დამკვიდრებას რომ ახლავს ხოლმე თან. ერთი შეხედვით, ამ სკოლის ყველა გაკვეთილი ჩვეულებრივია, მაგრამ თითოეულ მათგანს შესასწავლი მასალის სრულყოფილად ათვისებისთვის, შექნილი ცოდნის გაღრმავებისთვის გამიზნული უთუოდ თან ახლავს, წინ უსწრებს ან მოსდევს დამატებითი შემეცნებითი ღონისძიება. თითოეული ასეთი ღონისძიება კი მოსწავლეთა მასწავლებლების ერთობლივი ძალისხმევით მზადდება და ყოველთვის ბავშვებისთვის სახალისო ხასიათს, თამაშის სახეს ატარებს. ამ გზით „სარემელის“ მოსწავლეები გარდა იმისა, რომ დამატებით ცოდნას იღებენ და თვალსაწიერს იფარებენ, დამოუკიდებელ აზროვნებასაც ეჩვევიან, ძიების პროცესში მიგნების, აღმოჩენის სიამოვნებისა და სიხარულის ფასსაც იგებენ. ასეთ შემეცნებით-შემოქმედებით ღონისძიებებში მოიპოვებენ ექსპურსიებიც („სარემელის“ მოსწავლე-მასწავლებლები იყვნენ ბოლნისში, სულხან-საბა

ორბელიანის მშობლიურ სოფელ ტყეშელაშენში მუზეუმების მონახულებაც, თეატრალური სპექტაკლების ნახვა და მერე ნანახზე მსჯელობაც, სახელოვანი ადამიანების სკოლაში მიწვევაც („სარემელში“ სტუმრად იყო ბატონი გურამ დოჩანაშვილი, ამ შეხვედრას მასპინძლებმა უწოდეს „დედამიწას სიყვარული ატრიალებს“), სხვადასხვა უმაღლეს სასწავლო თუ სამეცნიერო დაწესებულებებში სტუმრობაც (შარშან მეხუთეკლასელებს ივ.ჯავახიშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტში ვაჟა-ფშაველასადმი მიძღვნილი შეხვედრა ჰქონდათ და იქ ეთერ თათარაიძეს და ტრისტან მახაურს ესაუბრნენ), შიდა სასკოლო თემატური საღამოები („თბილისური მოტივები“, „ქართლის ჭირსა ვერვინ მოსთვლის“, „ხერეკანა“), ვიქტორინები, კონკურსები თუ კონცერტები ხომ იმთავითვე სასწავლო პროცესის განუყოფელი ნაწილია. დიდი ხალისით და მონდობით მოამზადეს ბავშვებმა მათემატიკური საღამო, საახალწლო მეჯლისი, ქართული ენის დღისადმი მიძღვნილი ლიტერატურულ-მუსიკალური საღამო „მამული, ენა, სარწმუნოება“, დაუსრულებელი მოგზაურობა მაგელანის კვადრატულ და ბეერი სხვა. სკოლის ფოიეში რეგულარულად ქვობა სკოლის ნორჩ მხატვართა ნამუშევრების გამოფენა, ასევე რეგულარულად მზადდება ყოველი ღონისძიების ამსახველი კედლის გაზეთის ნომრები. სკოლაში ყველას, დიდსაც და პატარასაც, საშუალება ეძლევა ასევე ფოიეში საგანგებო დაფაზე წარმოდგენილი ამა თუ იმ კლასის მოსწავლეთა მიერ თავისუფალ თემაზე დაწერილი თხზულების წაითხვა და შეფასება...

თუმცა „სარემელი“ არც ისე დიდი ხანია არსებობს, მაგრამ ის, რასაც სკოლამ მოკლე დროში მიაღწია, იმის განცხადების საფუძველს იძლევა, რომ იგი ნამდვილად მომავლისკენ, ნათელისკენ გაჭრულია „სარემელია და ეჭვი არ არის, რომ სულ მალე შეიცვლება პირველი შესაგრები ტოლობაში, რომელიც სადღეისოდ ასე გამოიყურება: 82 მოსწავლე+11 მასწავლებელი=„სარემელი“.





ლურჯი ივანი  
და

სიცოცხლე, დედა

დედა, მე ამ გაზაფხულის მოსვლას მთელი ჩემი გულით მოგილოცავ. გაზაფხული შენი სიცოცხლეა. გაზაფხულზე იები ამოდის და ეს ლურჯი იებიც კი მოგილოცავენ გაზაფხულის მოსვლას, ჩიტებიც და ჩახჩახა მზეც, პირველ რიგში კი ჩვენ, შვილები. შენთვის ეს დღესასწაული დიდი სიხარულია, დიდი სიყვარული. დედა, მოგილოცავ გაზაფხულის მოსვლას, დედათა ამ ლამაზ დღეს, ვეცდები შენი იმედების გამართლებას.

ნიკო ნანიკაშვილი,  
სკოლა „სარკმელი“, V კლასი

ჩემი აფხაზეთი ძალიან ლამაზი იყო. მე მენატრება ჩემი ეზო, სადაც აყვავებული მაგნოლიები იდგა. ბუნდოვნად მახსოვს მაგნოლიებით სავსე აფხაზეთი. როდესაც აფხაზეთში ომი მიმდინარეობდა, მე ძალიან პატარა ვიყავი და არ მინდოდა დამეტოვებინა ის ლამაზი მხარე. ძალიან მინდა, რომ დაებრუნდე აფხაზეთში და კვლავ ვნახო მაგნოლიებით სავსე, მოღვლე ლურჯი ზღვით, ზღვისფერი ცით, ბუნდიერებით სავსე ადამიანები ჩემს აფხაზეთში. მე მიხმობენ მაგნოლიები, აუცილებლად დაებრუნდები მათთან და თუ დაღლილი და მძვინვარე, მე მათ სიცოცხლის ხალისს დაუბრუნებ.

სალომე ბებუა, სკოლა  
„სარკმელი“, VII კლასი



ოფოშხერი

არა! ჩვენ არ გვინდა ომი რა შემხარავად ჟღერს ეს ოხერი სიტყვა „ომი“. ის ხომ ანადგურებს ყველაფერს, სპობს და მიწასთან ასწორებს. მართალია, მე არ მინახავს ომი, მაგრამ ჩემი დიდი ბაბუა გერმანელების წინააღმდეგ იბრძოდა და მისგან ბევრი რამ მომისმენია. რა დააშავეს იმ ახალგაზრდებმა, მოხუცებმა, ბავშვებმა ან დედებმა? რამდენი შრომა დასჭირდებოდა ამ უხარმაზარი შენობების და ტაძრების აშენებას!

ვინც ამას გაიძახის, ისინი ხომ კაბინეტებში სხედან და ბრძანებებს იძლევიან. მე კი ის უდანაშაულო ხალხი მეცოდება... ღმერთო!.. გვიხსენ ამ განსაცდელისაგან, იხსენი ის საბრალე ადამიანები, რომლებიც არაფერ შუაში არ არიან!

თეიმურაზ ოსაძე,  
თბილისის 51-ე საშუალო  
სკოლა, III ბ კლასი

ხერკვანდა - ჩემი ოცნების  
სმ

ჩემი ოცნების ხე - ხერკვანდა მორთულია ჭრელი, ლამაზი ნაჭრებით, რომლებშიც ჩემი სურვილებია. მე უამრავი სურვილი მაქვს ჩაფიქრებული, კარგიც და ცუდიც, კარგები ამდენია, ცუდები კი - არა. როდესაც ცუდ რამეს ვინატრებ, ჩემი ფერიები გაფრინდებიან უფალთან, უფალი მათ ფრთებზე დააბერტყავს სიკეთის ფხვნილს, ისინი მოფრინდებიან, შეარხევენ ფრთებს და დამაყრიან თავზე სიკეთეს. ამის შემდეგ ის ცუდი ნატვრები გამეფანტება და დარჩება მხოლოდ კარგი.

თამარ ვაბაიძე, სკოლა  
„სარკმელი“, V კლასი



გიორგი შაკაია, I კლასი



სალომე რუხუნიძე, I კლასი



# იასონ ლორთქიფანიძე

ქართულ კულტურას მრავლად ჰყოლია ქველმოქმედი მოღვაწე, თავისი შეძლებითა და გულშემატკივრობით არაერთხელ რომ გამოსდგომია საქვეყნო საქმეს. ბევრი მათგანის შესახებ საკმაოდ მწირი ცოდნა აქვს ჩვენს საზოგადოებრიობას და, მით უფრო, ახალგაზრდობას. ამ უკანასკნელთა შორისაა იასონ ლორთქიფანიძე - ცნობილი მოღვაწე, იურისტი, ისტორიკოსი, მრავალი ეროვნული საქმის წამომწყები და მონაწილე.

სამშობლოში მოღვაწეობის პირველივე წლები ვერ აეწყო ახალგაზრდა იასონ ლორთქიფანიძისთვის. ქართველ მეცნიერთა და ეროვნულ მოღვაწეთა წრეში შინაურკაცობამ ჭაბუკ იურისტს ადგილობრივ ჩინოვნიკთა შორის არაერთი მტერი შესძინა. ამას ლოგიკურად მოჰყვა ის, რომ პეტერბურგის უნივერსიტეტის კურსის დამთავრებისთანავე მას საქართველოში სამსახური აუკრძალეს და ჯერ განჯასა და შემდეგ ვლადიკავკაზში კარგა ხნით გადაკარგეს სამუშაოდ. თუმცაღა ის ვერ გაითვალისწინეს, რომ ჭეშმარიტ მამულიშვილს თავისი ხალხისთვის მსახურების მოთხოვნილება არც სამშობლოს გაღმა დაუჩლუნგდება. სწორედ ი. ლორთქიფანიძის განჯაში მოღვაწეობას უნდა უმადლოდეს ქართველი ერი თავისი ობოლი მგონის ნიკოლოზ ბარათაშვილის ნეშტის თბილისს დაბრუნებას. ამ მხრივ, ნაკლებნაყოფიერი არც ი. ლორთქიფანიძის მოღვაწეობის ვლადიკავკაზური ხანა ყოფილა. 1902 წელს მისი თაოსნობით დაარსდა ვლადიკავკაზის ქართველთა წვრილი სესხის ამხანაგობა, რომელიც სულ მალე რუსეთის მთელ იმპერიაში უმსხვილეს საფინანსო დაწესებულებად იქცა. ი. ლორთქიფანიძის იმჟამინდელ დამსახურებათა ნუსხაშია იქაურ ქართველთათვის ეკლესიის, ეროვნული თეატრისა და ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების, ვლადიკავკაზის ქართული სკოლის აგება-ამოქმედების მოთავეობაც.

1917 წლის თებერვლის ბურჟუაზიული რევოლუციის გამარჯვებისთანავე სამშობლოში დაბრუნებული ი. ლორთქიფანიძე, როგორც იქნა, ეღირსა თავისი მრავალწლიანი ოცნების პრაქტიკულ ხორცშესხმას: ცნობილ ქართველ მოღვაწეთა და ფინანსისტთა თანადგომითა და ხელშეწყობით მან ითავა ამიერკავკასიის ბანკის დაარსება და, ლოგიკურად, დასაბამი მისცა იმ დიდ საქველმოქმედო

საქმიანობასაც, რომელიც მთელი შემდგომი წლების მანძილზე მიმდინარეობდა ამ ბანკისა და მის საბჭოში გაერთიანებული ქართველი მეცენატების სახელით. გვირგვინი ამ დიდი საქველმოქმედო მუშაობისა, რა თქმა უნდა, იყო პირველი ქართული უნივერსიტეტის დაარსებისთვის ხელშეწყობა. იმხანად ი. ლორთქიფანიძე უნივერსიტეტის დამაარსებელი კომისიის წევრიც იყო და ბუნებრივია, რომ საკმაოდ დიდხანს უხდებოდა მის ფინანსურ პრობლემათა გადაწყვეტაც.

1918 წლიდან ანუ საქართველოში დემოკრატიული განწყობილებების აღორძინების პერიოდიდან იასონ ლორთქიფანიძე პოლიტიკურ მოღვაწეთა შორისაა. ამ დროისთვის იგი უკვე ეროვნული საბჭოს წევრია, ესე იგი, ერთ-ერთი ავტორიც საქართველოს დამოუკიდებლობისა, რომელიც ყველას გასახარად, დააგვირგვინა 1918 წლის 26 მაისმა. თუმცა 1918-21 წლებში ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის აქტიურ წევრობას იგი არ მოუწყვეტია თავისი ჩვეულებრივი მრავალმხრივი საზოგადოებრივი მოღვაწეობისთვის.

საქართველოში ბოლშევიზმის გამარჯვების შემდგომ ქვეყანაში შექმნილმა ინტელიგენციის დამთრგუნველმა გარემომ, ბევრ სხვათა მსგავსად, სრულიად ჩააქრო ი. ლორთქიფანიძის, როგორც მრავალმხრივი საზოგადო მოღვაწისა და ქველმოქმედის, ენთუზიაზმი. საქმიანობის სფეროთა იძულებითი შეზღუდვის შემდგომ იგი სერიოზულად ჩაუჯდა სამეცნიერო მუშაობას.

იასონ ლორთქიფანიძე 40-იანი წლების ბოლოს გარდაიცვალა. მაგრამ ეს ფაქტი არ აღნიშნულა არც ერთი ჟურნალ-გაზეთის დონეზე. სამაგიეროდ, მისი პიროვნება ცხოვლად დაიმანსოვრეს მისმა თანამშრომლებმა საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში. დიან, იგი ბევრ მის გვერდით მომუშავე ინტელიგენტს დაამანსოვრდა, როგორც „ფრიად განათლებული, ნიჭიერი და დიდი ერუდიციის მქონე ჩუმი მუშაკი“. თუმცა ასევე ბევრმა მის გვერდითაც კი არაფერი იცოდა მისი ტაბუდადებული წარსული მოღვაწეობის შესახებ. ასე რომ, თუკი ხელაუდნენ მასში რაიმე სინათლეს, ეს მათ თვალში, უპირველეს ყოვლისა, მისი დიდი შინაგანი ინტელიგენტობის სინათლე გახლდათ და კიდევ იმისა, რომ იგი ალალი ძმა იყო უმესანიშნავესი ქართველი მწერლის ნიკო ლორთქიფანიძის.



# რასიმ ვახუშტი ასატი?

ფური მოკვდა, ხანულობა გადავარდა

სულხან-საბას ლექსიკონში სიტყვა „ხანული“ ასეა განმარტებული - რძის მოზიარე დიაცნი. უწინ ქართულ სოფელში მეზობლობაში სცოდნიათ: შეამხანაგდებოდნენ თითო ფურის (მეწველი ძროხის ან კამეჩის) პატრონი ხელმოკლე დედაკაცები - ერთ დღეს ერთთან მიიტანდნენ თავ-თავის რძეს, მეორე დღეს - მეორესთან. ასე, რიგრიგობით უწევდა ყველას ერთბაშად ბლომად, რძის დაგროვება და სათითაოდ დღვებავდნენ თავისთვის, ხოლო ანგარიში რომ არ შეშლოდათ, დღეების რიცხვს ჯოხზე აჭდევდნენ. აი, ამგვარ შეზიარება-შეამხანაგებას ერქვა ხანულობა.

ბზობის ყვაპვიპით გაძრა, დანიპარბა

ყვაპვი ზამთარში სოფელს არ შორდება, სარჩოს ძეგნაში სულ გარშემო დასტრიალებს. ხალხის დაკვირვებით, გაზაფხული ბზობას იწყება ხოლმე და ყვაპვიც სითბოსა და ჰაერში დატრიალებული გაზაფხულის სუნს რომ იგრძნობენ, ეს კი დაახლოებით აღდგომის წინა კვირას, ბზობას ხდება ხოლმე, სოფლიდან აიყრებიან და სოფლის მახლობელ ტყეს მიაშურებენ.

ბერს ცოლს შპართხვეპინებს

ძალიან მოხერხებული ლაპარაკი იცის, მარჯვე ენა აქვს, ყველას შეაცდენს. საეკლესიო კანონით, ბერად შემდგარს ცოლის შერთვის ნება არა აქვს. ამ კანონის დარღვევა ბერს სულისწამწყმედ ცოდვად ჩაეთვლება. ეს თქმა გულისხმობს მაჭანკალს, რომელსაც ენა იმდენად უჭრის, რომ თუ მოინდომებს, მოქარგული ენით ბერს შეაცდენს, აღთქმას დაარღვევინებს, სულს წააწყმედიანებს და ცოლს შპართხვეპინებს.

პინც არა - ძინძარა

ვინც არ გააკეთოს რამე, იმას შერცხვენა ერგოს, სახელგატეხილი იარებოდეს, უარაფროდ დარჩეს.

ქინძარა გარეული ქინძია, საჭმელად უვარგისი. ლაპარაკში ქინძარას მცირე რამ დანაშაულისთვის არგუნებენ ადამიანს, უფრო კი ხუმრობაში ჩასატარებელი შემთხვევისთვის. ამ შემთხვევაში ქინძარა ფრაზის პირველი ნახევრის რითმისთვისაა ნახმარი.

ქროსავითი თავისკენ მოთლა

მხოლოდ თავისთვის ზრუნვა, თავკერძობა. ეჩო ცულის მსგავსი მჭრელი სამეურნეო იარაღია, რომელსაც პირი შიგნითკენ (მომხმარებლისკენ) აქვს შებრუნებული. როცა კაცი ეჩოთი ფიცარს თუ ხეს თლის, ნათალი სულ მისკენ სცვივა.



## სიტყვის კონა

ბარო - წვნიანი საჭმლის თავზე მომდგარი ცხიმი.

ბეზელი - მამალი ფრინველი.

ბელაზი - ზეთის სახდელი დიდი მრგვალი ქვა.

ბირაბი - გაზის მოყვანილობის ხელსაწყო, რომელშიც ჩაამაგრებენ საგანს დამუშავების დროს.

ბნდუ - ყუა (ცულის, დანის), ნაპირი (ფიცრის).

ბოგოჭუბ - ქალაჩუნა.

ბოლქული - ფიჭიანი თაფლი.

ბოთურბა - ხმლის, ხანჯლის, თოფისა და მისთანების ჩამოსაკიდებელი თასმა.

ბორდა - მოკლე (უვადო) ხმალი.

ბოჩბოჩანა - მდინარეში წყალქვეშა კლდეებზე გადამდინარე ზვირთი.

ჩარბუზანა - ჟივილხივილი, მხიარული ცეკვა-თამაში.

ციბა - ტანმორჩილი ძაღლი.

ცხაპი - საცრის მსგავსი ხელსაწყო მარცვლეულის კილის, ბზის და მისთანათაგან გასაწმენდად.

22826





# მსოფლიო კიდით კიდევად

## შვედეთი

### ინდოკანის ჰაუზის პირადი ლაურაიაზი

ქალაქ ვიმერბიუში გამოვლი-  
ნდნენ ასტრიდ ლინდგრენის სახე-  
ლობის საერთაშორისო ლიტერა-  
ტურული პრემიის პირველი ლა-  
ურეატები - ავსტრიელი მწერალი  
კრისტინ ნესტლინგერი და ამერი-  
კელი მხატვარ-ილუსტრატორი მო-  
რის სენდაკი. ეს პრემია შვედეთის  
მთავრობამ საბავშვო ლიტერატუ-  
რის განვითარებისა და მხარდაჭე-  
რის მიზნით დააწესა. ლინდგრე-  
ნის პრემიის თანხა - 5 მილიონი  
შვედური კრონი (დაახლოებით 450  
ათასი ევრო) ყველაზე დიდია მსო-  
ფლიოში არსებულ საბავშვო ლი-  
ტერატურისთვის განკუთვნილ ჯი-  
ლდობებს შორის. პრემიას ლაურე-  
ატებს 4 იუნის სახეობო ვითარე-  
ბაში გადასცემენ შვედეთის დედა-  
ქალაქში, ცერემონიაში ტახტის მე-  
მკვიდრე პრინცესა ვიქტორიაც მი-  
იღებს მონაწილეობას.

## გერმანია

### რა იზიან მისწავლა პიტიანის მუსიკა

გერმანელმა ჟურნალისტებმა ჩა-  
ატარეს ბავარიის ზოგადსაგანმა-  
ნათლებლო სასწავლო დაწესებუ-  
ლებათა მოსწავლეების სოციოლო-  
გიური გამოკითხვა, რომლის შე-  
დეგადაც გამოიჩინა, რომ რესპო-  
ნდენტთა მესამედი დარწმუნებუ-  
ლია, რომ ისტორიკოსები შეგნე-  
ბულად ცდილობენ ადოლფ ჰი-  
ტლერის პირშავად გამოყვანას, სა-  
ხელმძღვანელოებში კი არაფერია  
ნათქვამი „მესამე რეიხის დიადი

მიღწევების შესახებ“. გამოკითხუ-  
ლთა დაახლოებით 29 პროცენტით  
ერთსქესიანი სიყვარულის მიმდ-  
ვრებისთვის მკაცრი სასჯელის შე-  
მოღების მომხრეა, მათი მეოთხედი  
კი დარწმუნებულია, რომ გერმა-  
ნიაში ჩამოსული უცხოელები გე-  
რმანელებს სამუშაო ადგილებს  
ართმევენ. სოციოლოგები იმითლა  
იმშვიდებენ თავს, რომ მოსწა-  
ვლეთა მხოლოდ უმნიშვნელო ნა-  
წილმა გამოთქვა მზადყოფნა და-  
ლადობის მეშვეობით შეუწყოს  
ხელი ჰიტლერის ოცნებას „ბე-  
რმანული რეიხის“ შესახებ.

## აშშ

### 10 დღის ლინდრა მათ გაიძიებას გასაჩივრია

ჯორჯიის შტატში მცხოვრები  
მაკელემერების ფერმაში ძროხების  
წველალობა საგრძნობლად შემცი-  
რდა. საქონელს არც ვიტამინებმა  
უშველა და არც გაორმაგებულმა  
მზრუნველობამ. და აი, მაშინ დე-  
ნიელმა, რომელიც ყოველთვის გა-  
მოირჩეოდა საზრიანობით და ერთ-  
ერთი საუკეთესო მოსწავლე იყო  
კლასში, მამას სკოლაში ნასწავლის  
საფუძველზე შესთავაზა ერთი  
უბრალო ექსპერიმენტის ჩატარება  
- კერძოდ კი, ზეგავლენა მუსი-  
კით. ძროხებს როკი და ქანთრი  
არ ეჭაშნიკათ, მშვიდი კლასიკა კი  
იმდენად მოეწონათ, რომ წველა-  
ლობა ორჯერ და მეტჯერაც გა-  
იზარდა. ამ მიგნებისთვის 10 წლის  
დენიელ მაკელემერი ადგილობრივი  
პრესის გმირი და ამერიკის ბუბუ-  
მწოვართა შესწავლის საზოგადო-  
ების პრემიის ლაურეატი გახდა.

## ბრაზილია

### 40 მათის სიზღიდას გადასვლა და... გასაჩივრია

სასწავლო უწოდეს იმას,  
რაც 11 წლის ბრაზილიელ ბი-  
ჭუნას ალექს სანდრო ნუნეისს  
შეემთხვა: იგი 40 მეტრის სი-  
მაღლიდან გადავარდა წყალში  
და ცოცხალი გადარჩა.

ეს ამბავი ოკეანის ყურეზე  
გადებულ, რიო-დე-ჟანეიროს და  
ნიტერას შემაერთებელ მრავალი  
კილომეტრის სიგრძის ხიდზე  
მოხდა. ხიდზე გადასვლისას მი-  
კროავტობუსი, რომლითაც  
ალექსი მგზავრობდა, გაფუჭდა  
და მძღოლმა ის განაპირა ზო-  
ლზე გადააყენა შესაკეთებლად.  
რამდენიმე წუთში კი მიკრო-  
ავტობუსს დიდი სიჩქარით მო-  
მავალი მანქანა შეეჯახა. ძლი-  
ერი დარტყმის შედეგად ბიჭი,  
რომელსაც უკანა სავარძელში  
ეძინა, სალონის ფანჯრიდან  
ოკეანეში გადავარდა. ხიდის სი-  
მაღლე იმ ადგილას მრავალსა-  
რთულიანი სახლის ტოლია.

თითქოს გადარჩენის არანა-  
ირი შანსი არ იყო, მით უმე-  
ტეს, რომ ალექსმა ცურვა არ  
იცოდა, მაგრამ მოხდა სასწა-  
ული - ბიჭმა მოისაზრა და ჩა-  
ებლაუჭა სასიგნალო ბუის, რო-  
მელმაც სულ ახლოს ჩაუარა  
ცურვით. 20 წუთში დინებამ იგი  
სამხედრო-საზღვაო ბაზის ნა-  
ვსადგურთან მდგარი წყალქვეშა  
ნავის ბორტთან მიაგდო. სწო-  
რედ სამხედრო მეზღვაურებმა  
გადაარჩინეს იბღლიანი ალექსი.





აძვრომით კი ადვილად აძვრა კანადელი მოსწავლე ჯოშ ჩისმენი ამ უჩვეულოდ გადახლართულ ხეზე, ჩამოსვლისას კი მისი განტოტვილი ტანის უცნაურ გალიაში მოემწყვდა. რამდენს არ ეცადა სასოწარკვეთილებამდე მისული ბიჭი თავი დაეღწია ტყვეობისთვის, მაგრამ ვერაფერს გახდა. ატირებული ბავშვის დანახვაზე გამვლელებმა სცადეს მისი დახმარება, მაგრამ ვერაფრით უშველეს და მაშინ სპეციალური სამაშველო სამსახური გამოიძახეს.

„მაინც როგორ მოახერხე, საიდან ჩაძვერი მანდ?!“ – უკვირდათ ჯოშის გადასარჩენად მისულ მამშველებს, რომლებსაც პირველად ჰქონდათ საქმე ასეთ უცნაურ შემთხვევასთან. ჯოშის დახსნას რამდენიმე საათი დასჭირდა. არა გვეგონია, ამის შემდეგ მან საერთოდ რომელიმე ხეზე მოინდომოს ასვლა.



# პასუხისმგებლობა

პასუხისმგებლობა არის პირობა დაკისრებული, ანდა პირმა მიერ აღებული ვალდებულება ანბარში ჩააბაროს თავის რაიმე ქმედებაზე და პასუხი აგოს მისი შესაძლო შედეგების გამო.

რაზე აგებს ადამიანი პასუხს? ყველაფერზე, რაც დედამიწაზე ხდება? თუ რაიმე უმნიშვნელოზე?

არსებობს რონის შესანიშნავი წიგნი „ბრძოლა ცეცხლისათვის“. მასში მოთხრობილია წინაისტორიული ხანის ადამიანებზე, როგორც ჩვენ შეგვიძლია წარმოვიდგინოთ ისინი. ჩვენამდე მოღწეული ცნობები ხომ ძალზე ღარიბია! ვინც ეს წიგნი წაიკითხა, უთუოდ ემანსოვრება მისი შინაარსი: ბიჭუნას ცეცხლის დაცვა დააკისრეს: იმ დროს ადამიანებმა არ იცოდნენ ცეცხლის მოპოვება და ერთხელ გაჩენილ ცეცხლს ჩაუქრობლად ინახავდნენ. მაგრამ ბიჭუნას ჩაეძინა და ცეცხლი ჩაქრა. ეს კი იმას ნიშნავდა, რომ მთელი ტომი განწირული იყო სიცოცხლის, შიმშილის და, შესაძლოა, დაღუპვისთვისაც.

როდესაც ტომმა ბიჭს ცეცხლი ჩააბარა, ამით მას საკუთარი თავი, თავისი სიცოცხლე ანდო. ბიჭმა კი ისინი სასიკვდილოდ გასწირა. ამისათვის, იმდროინდელი წესის თანახმად თვითონ ბიჭი იყო სიკვდილის ღირსი.

უკვე ამ მაგალითითაც შეგვიძლია დაერწმუნდეთ, რომ სხვისთვის პასუხისმგებლობა ნიშნავს – შეგვიძლია საკუთარ თავზე პასუხისმგებლობა. მხოლოდ ისეთი ადამიანი, რომელიც ყოველგვარ პირობებში ფლობს საკუთარ თავს, რომელსაც ძალუძს დათმოს საკუთარი ინტერესები, არის ღირსი მაღალი უფლებისა – პასუხი აგოს სხვებზე.

მაგრამ შორეულ წარსულში ერთი ადამიანის შეცდომას ანდა უპასუხისმგებლობას არ შეიძლებოდა ჰქონოდა ისეთი საშინელი შედეგი, როგორც დღეს. ხალხი ცოტა იყო, ისინი ცალკეულ ტომებად ცხოვრობდნენ თავთავიანთ მიწაზე, რომელიც უკიდევანო სივრცედ მიაჩნდათ. ახლა კი, ჩვენ კარგად ვიცით, რომ ვცხოვრობთ არც თუ ისე დიდ პლანეტაზე. კოსმოსიდან, კოსმონავტების თვალით უკვე დავინახეთ ჩვენი დედამიწა. ის პატარაა და მასზე მცხოვრები ადა-

მიანები მტკიცედ არიან ერთმანეთზე გადაჯაჭვული. ჩვენი დედამიწაც თითქოს კოსმოსური ხომალდია, ჩვენ ყველა ერთად კი – მისი ეკიპაჟი. სავესებით გასაგებია, რა ბევრია დამოკიდებული ხომალდის ეკიპაჟის შეთანხმებულ მუშაობაზე.

პასტერი მშვიდობიანი კაცი იყო, მაგრამ მას ჰქონდა მეცნიერული სიმამაცე. მან ისეთ გამარჯვებას მიადგინა, რომელიც კაცობრიობისთვის გაცილებით უფრო ღირებულია, ვიდრე მისი თანამემამულის – ნაპოლეონის ყველა გამარჯვება ერთად აღებული. ნაპოლეონის გამარჯვებებს, ბოლოს და ბოლოს კი მის მარცხით დასრულებულ გზას, ადამიანების სიცოცხლე მიჰქონდა. პასტერმა კი ისეთი აღმოჩენა გააკეთა, რომელმაც მილიონების სიცოცხლე იხსნა. ბევრი ჩვენგანი დღეს ცოცხლობს იმის წყალობით, რომ პასტერის მიერ აღმოჩენილმა აცრის მეთოდმა ადამიანებს საშუალება მისცა დაემარცხებინათ შავი ჭირი და ყვავილი.

განა მხოლოდ დიდი ნიჭი იძლევა უდიდესი აღმოჩენების შესაძლებლობას? დიდი აღმოჩენებისათვის ასევე აუცილებელია პასუხისმგებლობის მაღალი გრძობა. პასუხისმგებლობა ადამიანების გამო? დიახ. მაგრამ ასევე საკუთარი თავის გამოც. დიდი მეცნიერი, დიდი მწერალი, პირველ რიგში, დიდი მშრომელია. იგი დაჯილდოებულია უმაღლესი პასუხისმგებლობის გრძობით იმის გამო, რაც მისთვის ბუნებას მიუნიჭებია. იგი კი არ ფლანგავს თავის შესაძლებლობებს, არამედ შრომით ამრავლებს მათ.

პასტერის აღმოჩენა დროის მიხედვით დაშორებული იყო მის პრაქტიკულ განხორციელებასთან. მაგრამ არის აღმოჩენები, რომლებიც მეცნიერის წინაშე იმთავითვე აყენებენ კითხვას: რა მოგაქვს ადამიანებისათვის – სიკეთე თუ განადგურება?

ფიზიკოსებმა, რომლებიც ატომის გახლეჩაზე, ურანის საქვების შექმნაზე

მუშაობდნენ, იცოდნენ, რომ მათი მუშაობის ერთ-ერთი შედეგი იქნებოდა ატომური ბომბი. მაგრამ რას ნიშნავდა ეს ბომბი ჰიტლერის ხელში? იგი ნიშნავდა კაცობრიობის დაღუპვას, ადამიანების გადაქცევას მახინჯებად და მონებად. გერმანელი ფიზიკოსები გრძობდნენ თავიანთ პასუხისმგებლობას და ყველა როდი იყო თანახმა მიეცა ჰიტლერისთვის ატომური ბომბი. მართალია, ეს არ იყო მთავარი მიზეზი, მაგრამ ერთ-ერთი მიზეზი კი იყო, რომლის გამოც ფაშისტურ გერმანიაში ვერ მოასწრეს ატომური ბომბის შექმნა.

დღეს ადამიანი, მხოლოდ და მხოლოდ ადამიანი აგებს პასუხს ყველაფერზე ამ ქვეყნად. ათასობით წლების მანძილზე იგი ებრძოდა ბუნებას, როგორც მტერს, ახლა იგი პასუხს აგებს მასზე, როგორც უფროსი. იგი პასუხს აგებს ჰაერზე, რომელიც გარს არტყია ჩვენს პლანეტას, ოკეანეებზე, ტყეებსა და მდინარეებზე, ყველაფერზე, რაც იქ ცხოვრობს. ამ თავის პასუხისმგებლობას ადამიანი ვერავის ვერ გადააკისრებს, რადგან მხოლოდ მას აქვს მინიჭებული უმაღლესი ძალა: გონების ძალა. და სწორედ ამიტომ მისი ქმედება უნდა იყოს გონიერი და ადამიანური.

ვინ არის ეს ადამიანი? ეს ჩვენ ვართ ყველანი და თითოეული ცალკე.

ყველა მომავალი სახელმწიფო მოღვაწე, რომელმაც შემდგომში უნდა განაგოს ხალხის ბედი, მომავალი დიდი მეცნიერი, მწერალი, ფილოსოფოსი, რომელთა სახელები ჯერ არავინ იცის, ახლა სასკოლო მერხებს უსხედან. მათ არავითარ შემთხვევაში არ უნდა იფიქრონ, რომ პასუხისმგებლობის გრძობა გაჩნდება შემდეგ, დაკისრებულ საქმესთან ერთად. ის, ვინც პასუხისმგებლობის გრძობა საკუთარ თავში სიყმაწვილეშივე არ აღზარდა, ამას სიტყარმაგეში ვერ ისწავლის.

თარგმნა ლ. პალანდაძემ





# ოფოშხერი

## მარადისობის კანონი

თუ გინდა, რომ მარადისობა მოიპოვო, უნდა გაუზიარო შენი სული სხვას, იგი შენს სულს შეინახავს და შემდეგ სხვას გადასცემს. სხვა კიდევ ვინმეს და ასე იცოცხლებს შენი სული, ანუ შენ თვითონ მარადიულად.

ჩემი აზრით, უნდა მოუპოვო სხვას მარადისობა, რათა შენ მოგეპოვოს. მე ვფიქრობ, რომ ჩემი სულის ნახევარი ჩემს ნათესავენს აქვთ, მე ბევრჯერ მიგრძვნი, თუ როგორ აწუხებთ მათ ჩემი ავადმყოფობა.

მე ჯერ პატარა ვარ და არ მყავს ისეთი მეგობარი, რომელიც ბოლომდე მეყოლებოდა შესწავლილი, და ამიტომ ჩემი სული, მხოლოდ ჩემს უახლოეს ნათესავენს გაუზიარებ. დარწმუნებული ვარ, რომ ისინი ჩემს სულს შეინახავენ და მეც შევინახავ იმ მცირე ნაწილს მათი სულებისა, რომელიც მათ მე ჩამაბარეს.

მათი სული, რაც არ უნდა მძიმე იყოს (მაგრამ ვიცი, რომ არ არის მძიმე) ჩემთვის, მაინც სასიამოვნო ტვირთი იქნება, თუ შეიძლება, ამ განძს ტვირთი ვუწოდო.

*ირაკლი გაბაიძე, VII კლასი*

## ბალახის დედა

განათხულის მცხუნვარე მზე ისე ანათებდა, რომ მიწიდან ამომძვრალმა ბალახმა და ყვავილებმა ჭკნობა იწყეს. მეტად შეწუხდნენ, თავები ჩაქინდრეს და დაღონებულებმა ტირილი დაიწყეს. უცებ უფალი გაახსენდათ, თავები მაღლა ასწიეს და ლოცვას მოჰყვნენ. შებინდებისას უფალმა მათი ვედრება ისმინა. ციდან წვიმა წამოვიდა და არემარეც გამოცოცხლდა, დილით ყველაფერი ამწვანებულიყო, ბალახი მაღლობას სწირავდა უფალს დედის გამოგზავნისთვის, წვიმა ხომ მათი დედა იყო, რომელიც აცოცხლებდა და ძუძუს აწოვებდა მათ.


*თეონა კვინიკაძე, III კლასი*

# წმინდოგიდგენით სკოლას „სწრკმელის“ მოსწავლეთა შემოქმედებას

## გაზაფხული

განათხულის შემოვიდა გაიღვიბა ბუნებამ, გამოცვივდნენ ყმაწვილები, ისმის მხიარულება. ბუჩქის ძირას ყვავილებსაც ჩაუცვიათ ჩითები, იქვე ბუდეს იშენებენ მოჭიკჭიკე ჩიტები.

*გიორგი მელქიშვილი, III კლასი*



*მარიამ თოფურია, I კლასი*



*თამრიკო კერგელავა, III კლასი*



# პატარების უპირველესი მეგობარი

სკოლის დაწყებითი საფეხური ის სამყაროა, სადაც საფუძველი ეყრება მოზარდის განათლებას, მის პიროვნულ თვისებებს. ამდენად, ბუნებრივია, პატარების შემდგომი წარმატებები დიდად არის დამოკიდებული პირველ მასწავლებელზე. პირველი მასწავლებლის ღიმილი, სიტბო, ღრმად იღვამს ფესვებს ბავშვის სულსა და გულში და ბავშვები ყველაზე უკეთ გრძნობენ, რამდენად აქვს მასწავლებელს მომადლებული მათი სიყვარულის ნიჭი. თავის მხრივ, მასწავლებელი სწორედ ყველაზე პატარებთან ურთიერთობისას რწმუნდება ჭეშმარიტი მასწავლებელი რომ იყო, მართლ უმალეს სასწავლებელში შექმნილი ცოდნა საკმარისი არ არის.

ნაილი ბახტურიძე ამაში თავის პირველივე გაკვეთილზე დარწმუნდა და რუდუნებით შეუდგა პატარების გულებისკენ მისასვლელი ერთადერთი სწორი გზის ძიებას და დღეს იგი ნებისმიერი მოსწავლის გულისთქმას ხვდება, ყოველი მათგანის სულის გასაღებს ფლობს. ალბათ ამიტომაც იმსახურებს მათ უზომო სიყვარულს.

ნაილი ბახტურიძემ სკოლა ჭიათურის რაიონის სოფელ ხრეთში დაამთავრა, მერე იყო სწავლა პედაგოგიურ ინსტიტუტში. უმაღლესის დამთავრების შემდეგ დიდი შემართებით შეუდგა დაუფლებული ცოდნის ცხოვრებაში გამოყენებას. თბილისის 142-ე საშუალო სკოლაში ხუთი წელია მუშაობს, ისევე ევლება თავზე პატარებს, ისევე ივრავს გულში, როგორც საკუთარ სამ შვილს. ისინიც სიტბოთი და სიყვარულით პასუხობენ და ალბათ ეს არის მისი შრომის ყველაზე დიდი საზღაური. ნაილი მასწავლებლის პედაგოგიური ტაქტის, ალღოს, ბავშვებისადმი დიდი სიყვარულის წყალობით მის მოსწავლეებს ყოველთვის მოუხარიათ სკოლაში, ყველა ხალისით სწავლობს, გაკვეთილზე ყველა ყურადღებით არის და ცდილობს მასწავლებლის არც ერთი სიტყვა არ გამოეპაროს. სწორედ მის მიერ გაღვივებული ცოდნის წყურვილის, ახლის შეცნობის წადილის, შრომისმოყვარეობის და ინტერესის შედეგია ის, რომ მის სადამრიგებლო პირველ კლასში ნებისმიერი გაკვეთილი ასპროცენტური აქტიურობით მიმდინარეობს და რომ მოსწავლეთა შორის ამდენი წარჩინებულია: ნიკა კუჭავა, რატი ჯანელიძე, შორენა სვანიძე, ნოდარ წაქაძე, კირილე ცუხიშვილი, ირაკლი გოგოლაძე, გიორგი ჭოხონელიძე, ია წიგნაძე, გუგული ჩადუნელი, მიშა მახმეშვილი, გაგა დემეტრაშვილი, გიორგი ოთარაშვილი. ნაილი მასწავლებლის აღსაზრდელები სხვა მხრივაც ყოჩაღობენ, ზოგს ხელსაქმე იტაცებს, ზოგს - ქსოვა, ზოგს - კერვა. ყოველ დღით კლასში შესულს მაგიდაზე ლამაზად გაფორმებული აპლიკაციური ნამუშევრები, ნახატები, ნაქსოვები, ხის ნაკეთობები ხვდება, ამით ბავშვები მოწიწებით ცდილობენ ასიამოვნონ და წრფელი სიყვარული გამოხატონ. მასწავლებელი კი ხშირად აწყობს ვახტანგ გაგუას, ნიკა ნიოლაიშვილის, თეკლე გახელაძის, ნინო ჯოხაძის, ლევან ხარაულის, ავთანდილ ჩხეიძის, მურმან მესხის, თამარიკო მესხის ნამუშევრების გამოფენას.

როდესაც მასწავლებელი ღიმილით უცქერის პაწიების გაცისკროვნებულ სახეებს, ისინი მეცხრე ცაზე არიან, რადგან გრძნობენ, რომ სიამოვნება მიანიჭეს ადამიანს, რომელიც თითოეული მათგანის უპირველესი მეგობარია.

# სიკეთით აღსავსე გულით

არც ისე ადვილი საქმეა ასწავლო სიკეთე, სიყვარული შთაუწერო პატარებს, პირველი ნაბიჯები გადაადგმეინო მათ ცოდნის ტაძარში. ამას პედაგოგიური ნიჭის გარდა, სიყვარულით და სიკეთით აღსავსე გული, საკუთარი მოვალეობის მაღალი შეგნება და გულისხმიერებაც სჭირდება. თბილისის 142-ე საშუალო სკოლის დაწყებითი კლასების მასწავლებელი ციალა გელაშვილი ყველა ამ თვისებით უხვად არის დაჯილდოებული და სწორედ ამიტომ უყვართ იგი მოსწავლეებსაც, მშობლებსაც და კოლეგებსაც.

სურამის №1 საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ სწავლა სტენოგრაფიულ სასწავლებელში გააგრძელა, 1961 წელს კი თბილისის პუშკინის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის დაწყებითი განათლების ფაკულტეტზე ჩაირიცხა. ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ მუშაობა დაიწყო 141-ე ბაგაბაღში აღმზრდელად. 1976 წლიდან დღემდე კი მუშაობს 142-ე საშუალო სკოლაში. როგორც თავად ქალბატონი ციალა ამბობს, სპეციალობის არჩევაში დიდი როლი ითამაშა მისმა პირველმა მასწავლებელმა მარიამ ტაბატაძემ, რომელიც ახლაც მისაბამ მაგალითად რჩება მისთვის.

ციალა გელაშვილი სკოლის დაწყებითი კლასების მეთოდგერითიანების ხელმძღვანელიცაა და უშურველად უზიარებს ახალგაზრდა კოლეგებს საკუთარ ცოდნა-გამოცდილებას. დაწყებით კლასებში სწავლების პროცესის ეფექტურობის და შექმნებითი დონის ამაღლების მიზნით სკოლაში ხშირად ტარდება სხვადასხვა ღონისძიებები. მაგალითად, პედაგოგმა ნანა ჩაჩუამ და ნანა ჩხინაძემ ჩაატარეს კომპინირებული ღია გაკვეთილი ქართულ ენაში, რომელიც ილიასა და აკაკის შემოქმედებას მიეძღვნა, მათემატიკის შესანიშნავი გაკვეთილი უჩვენა კოლეგებს ლელა არჩვაძემ, ქართული ენის დღეს მიეძღვნა მაია ჩაგელიშვილის მიერ 14 აპრილს ჩატარებული ღონისძიება „ენა დედაა ერისა“ მეთოდურ სხდომებზე, რომლებსაც ქალბატონი ციალა უძღვება ხოლმე, მსჯელობენ დამუშავებული თემებისა და მეთოდური წერილების ირგვლივ, მასწავლებლები სისტემატურად ესწრებიან ერთმანეთის გაკვეთილებს.

ციალა მასწავლებლის კლასში ბევრი წარჩინებული მოსწავლეა: სანდრო შალვაშვილი, მარიამ მჭავანაძე, გიორგი ზარქუა, ანი ფაცაცია, ნიკა წილოსანი, ნიკა გოგბერიძე. სახალისო და ლოგიკური ამოცანების ამოხსნაში ტოლი არ ჰყავთ სოსო ხუტაშვილს, მარიამ აბესაძეს, ჯემალ მქვრივიშვილს, ანი ხოკრიშვილს. ამ კლასის მოსწავლეები სხვადასხვა შემოქმედებით სტუდიებსა თუ წრეებშიც მცვადინებენ, მაგალითად, მიხეილ ჩაგელიშვილი და თეონა მაისაშვილი სკოლის ქორეოგრაფიულ წრეში არიან გერითიანებული და აქტიურად მონაწილეობენ სასკოლო ღონისძიებებში. სასკოლო წარმოდგენების წამყვანები არიან ციალა ნაცვლიშვილი, თამუნა ვარდოსანიძე, ნინო ბარნოვი, ვერვიო თითირაშვილი, თამია კუტუბიძე (ეს უკანასკნელი სიმღერის ანსამბლ „თბილისელი ბიჭები და ჩიორაში“ მღერის და დიპლომანტიც არის). ციალა მასწავლებლის ბევრ მოსწავლეს კროსვორდები და თავსატეხები იტაცებს, მათ შორის კი მიშვიო მეტრეველი, გვანცა კულატანიშვილი და ნიკა ლიპარტელიანი გამოირჩევიან. მასწავლებელი და მისი აღსაზრდელები ერთმანეთის გვერდში დგომით ცდილობენ ცოდნის თუ ყოფაქცევის მაღალი დონით საუკეთესონი იყვნენ სკოლაში და კიდევაც აღწევენ ამას.

მარიონა მირცხულავა



# იცი, რას ნიშნავს შენი სახელი?

**უშიშა** - ქართული სახელია.

**ურა** - ქართული სახელია, მეგრულად ნიშნავს „შავს“, „შავგვრემანს“.

**ვარნაოზ** (ირან.) - „ბრწყინვალე“, „დიდებული“, „ხელბედნიერი“, „მჭევრმეტყველი“. ფარნავაზ ამ სახელის ძველი ფორმაა. ასე ერქვა ერთ-ერთ პირველ ქართველ მეფეს.

**ვარსაღან** (სპარ.) - „ბრძენი“, „სწავლული“, „მეცნიერი“ ეს სახელი ჰქვია „ვეფხისტყაოსანში“ ნესტან-დარეჯანის მამას.

**ვირუზ** (სპარ.) - „ძლევამოსილი“, „გამარჯვებული“.

**ვრილონი** - ირანული სახელია.

**ქანსოსრო** (ირან.) - „სახელოვანი თავადი“.

**ქართლოს** - ქართლისგან ნაწარმოები ქართული სახელია.

**ქველი** - ქართული სახელია და გულუხვს, მხნეს ნიშნავს.

**ქუჯი** - ერთ-ერთი მოსაზრებით სკვითური სახელია და „ძალღიკას“ ნიშნავს. ქუჯი ერქვა ფარნაოზ მეფის სიძეს, ეგრისის ერისთავს.

**ღვთისმამა**, **ღვთისმამა**, **ღვთისმამა** - ქართული სახელებია.

**ქარამან** (სპარ.) - „გმირი“.

**ყავლან** (თურქ.) - „ვეფხვი“.

**გალიმან** (სპარ.) - „მხიარული“.

**გალვა** - ქართული სახელია, მისი მოფერებითი ფორმებია: შალიგო, შალალო, შალიკა, შალიტა.

**გაგაგი**, **განგაგი** (ძვ.ებრ.) - მზე, ან (სპარ.) „მეფეთ-მეფე“.

**გაქარი** - ქართული სახელია და ზაქარიას მოფერებით ფორმად ითვლება.

**გურბილი** (სპარ.) - „ლომის დამჭერი“.

**გურამალინი** (არაბ.) - „სარწმუნოების სინდისი“.

**გიორგი** - სავარაუდოდ მიმდინარეობს წარმოშობით ირანული სახელისგან სიაოში, რომელიც „შავგვრემანს“, „შავ მამაკაცს“ ნიშნავს.

**გიორგი** - ეს სახელი ამ ფორმით გავრცელებულია

ბულია მხოლოდ ქართველებში, რაც უთუოდ „ვეფხისტყაოსნის“ ავტორის უდიდესი პოპულარობის ნიშანია.

**ციხაძარი** - ქართული სახელია.

**ციტენი** - ქართული სახელია და „პატარას“ ნიშნავს.

**ძალიძა** - ქართული სახელია, რომელიც დღეს იშვიათად გვხვდება, ადრე კი ძალზე გავრცელებული იყო მთაში.

**ძაბან** (სომხ.) - „ნაშიერი“, „შვილი“, „ნაშობი“.

**წიქა** - ქართული სახელია, რომელიც „წითურს“ უნდა ნიშნავდეს.

**წყალობა** - ქართული სახელია (იგულისხმება „ღვთის წყალობა“), დღეს იშვიათად გვხვდება.

**ჭაბუკა**, **ჭაბუა**, **ჭიბბერი** - ქართული სახელებია.

**ჭიჭიჭი** - ქართული სახელია, მეგრულში „პატარას“ აღნიშნავს.

**ჭილა** - ქართული სახელია, ნიშნავს „ვაჟს“, „ყმაწვილს“.

**ხარობა** - ქართული სახელია, რომელიც დღეს იშვიათად იხმარება.

**ხანუტა** - ხახუ სახელისაგან კნინობითის ტა სუფიქსით ნაწარმოები ქართული სახელი.

**ხაჩია** - ქართული სახელია, მეგრულად „გაბრწყინებულს“, „მოციმციმეს“, „მოცინარს“ ნიშნავს.

**ხუტა** - უკავშირდება ხურიტულ ენას, სადაც ხუტა ღვთაების ეპითეტია და „მებრძოლს“ ნიშნავს.

**ჯანსუღ** (სპარ.) - „ვისაც სული დაეწვა“ (სიყვარულით), „სულდამწვარი“, „შეყვარებული“.

**ჯამალ** (არაბ.) - „სილამაზე“.

**ჯუანშერი** (სპარ.) - „ახალგაზრდა ლომი“.

**ჯუშბერი** - გვხვდება მხოლოდ ქართულში. სავარაუდოდ ჯუანშერის ფონეტიკური ან გრაფიკული ცვლილებების შედეგად უნდა იყოს მიღებული.



# იენობრეთ - სიმპსონების ოჯახი

დღეს ლამის მთელ მსოფლიოში უპოპულარეს შოუდ ქცეული „სიმპსონების“ პირველი სერია 1989 წლის დეკემბერში გავიდა FOX-ის ქსელში, იმ დღიდან მოყოლებული კი, 14 წლის განმავლობაში სიმპსონების 280 სერია გადაიდგეს. შოუს შემქმნელიც და პროდიუსერიც გახლდათ მეთ გროენინგი, რომელიც ადრე კომიქსებს ქმნიდა და სცენარებს წერდა. შოუების დადგმა და მათთვის მუსიკის შერჩევა კი, როგორც თავად ამბობს, მას შემდეგ დაუსწია, რაც ბავშვობაში საშობაო საჩუქრად მაგნიტოფონი მიუღია. ყოველ დადგმულ შოუს, მეთი თავის დებს მეგის და ლისას აჩვენებდა. ეს ბავშვური გატაცება მერე და მერე სერიოზულ ინტერესში გადაიზარდა, მოგვიანებით კი დაიბადა ავტობიოგრაფიულ საფუძველზე აგებული შოუ სიმპსონების ოჯახზე, რომელიც სულ მალე ამერიკელთა, და არა მარტო ამერიკელთა, საყვარელი სანახაობა გახდა.


პირველი სერიის სიუჟეტი ასეთი იყო: ისევე, როგორც მთელი ამერიკის მოსახლეობა, შობის წინ სიმპსონებიც საჩუქრების ყიდვის ციებ-ციხელებით არიან შეპყრობილები, მაგრამ ხელი არ

ემართებათ. მარჯი იძულებული ხდება თუ რამ დანაზოგი ჰქონდა, მთლიანად ბარტისთვის სვირინგის მოსაშორებლად დახარჯოს, არც პომერს ერგება სამსახურიდან არაფერი, ამიტომაც სანტა კლაუსად იწყებს მუშაობას, რათა საჩუქრების საყიდელი თანხა შეაგროვოს, მაგრამ საშობაოდ შინ მხოლოდ ქუჩაში შემთხვევით ნაპოვნი ძაღლის მიყვანას ხერხებს, თუმცა ბავშვებს ეს საჩუქარიც ძალიან ახარებს და მას „სანტას პატარა დამხმარეს“ დაარქმევენ.

როგორც ამბობენ, იმ კვირა საღამოს, რო-

დესაც პატარა მეგი ენას იდგამს და თავის პირველ სიტყვას წარმოთქვამს, ამერიკის ქალაქების ქუჩებში კაციშვილი არ ჭაჭანებდა, ყველა ტელევიზორთან იჯდა.

მთელი ამ ხნის განმავლობაში შოუს გმირებს ერთი და იგივე, ამასთან ძალზე ცნობილი მსახიობები ახმოვანებენ, თანაც ამას ზოგი მათგანი რამდენიმე გამოგონილი პერსონაჟის ხმას წარმოადგენს, ფილმში ზომ ჰომერის, მარჯის, ბარტის, მეგის და ლისის გარდა, ყველა სერიაში ახალ-ახალი პერსონაჟები შემოდიან. „სიმპსონების“ სხვადასხვა



სერიაში მრავალი ვარსკვლავი უშუალოდ საკუთარ თავს წარმოადგენდა. თავის დროზე შოუში მონაწილეობა მიიღეს მერილ სტრიპმა, მელ გიბსონმა, ბრიტნი სპირსმა, ელტონ ჯონმა, „აეროსმიტმა“, სტინგმა და ბევრმა სხვამ. მეგი სიმპსონმა კი პირველი სიტყვა - „მამიკო“ ელიზაბეტ ტეილორის ხმით წარმოთქვა,

ავტორები ყველანაირად ამრავალფეროვნებენ სერიებს და შოუბიზნესისა და კინოს ვარსკვლავების გარდა, მათში პოლიტიკოსებსაც აღებინებენ მონაწილეობას. თავის დროზე „სი-

მპსონებში“ ბილ ქლინთონი, ბობ დოული, ჯორჯ ბუში (მამა) და მისი მეუღლე ბარბარა, ჯერალდ ფორდიც გამოჩნდნენ,

საერთოდ, „სიმპსონებში“ წარმოდგენილია იუმორით გაზავებული ამერიკელთა ყოველდღიური რეალობა მისი დადებითი თუ უარყოფითი მხარეებით. ამ ანიმაციური ფილმის საოცარი პოპულარობა უთუოდ იმითაც არის განპირობებული, რომ მისი თემატიკა ყოველთვის აქტუალურია და საშუალებას აძლევს ამერიკელებს საკუთარი თავი, საკუთარი ყოფაცხოვრება დაინახონ.





ასე მგონია

ვარსკვლავებით მოჭედდილო  
და ლამაზო ცაო,  
განთიადო, ვარსკვლავებმა  
რა დაგიშავაო.  
მიდიხარ და ვარსკვლავებიც  
თითქოს სახლში მიგყავს,  
ჯერ მზეც კი არ ამოსულა,  
რომ აღვიძებ ცისკარს,  
გაიღვიძე, ცისკარო,  
თქვი: რა მოგდის, მითხარო.  
ახლა, როცა გავიზარდე,  
სულ სხვაგვარად ვფიქრობ -  
მზე ყოველთვის საჭიროა,  
რომ ჩვენ მოგვცეს სითბო,  
მაგრამ სულ დამის ყოფნა  
თქვით, ვის გაუგონია?  
დღეც და ღამეც საჭიროა -  
ახლა ასე მგონია.

\*\*\*

საქართველოს  
მაღლა ვხედავ ლამაზ ვარსკვლავს,  
კი ვერ ვწვდები, ვხედავ,  
მინდა ხელი რომ მოგკიდო,  
ცის მნათობო დედავ,

ჩვე წლის ნათია ხუნაძე ირი თბირისის 155-ე სკოლაში  
არ სკლის III<sup>2</sup> კლასის მსწავლეა. გაცნა საგნებისა  
და მკერების თავისებური, არიგინალური ხედიო  
გამსიჩჩევა, ჩაც მის რექსებშიც კანგად ჩანს. ჩაზე  
წეხს ნათია? ჩაზე და სამმსბრზე, ვანსუვრავებზე,  
ერეაზე, მეგსბრებზე, ვაზაფხურზე, ბუნებაზე.

საქართველოს ვენაცვალე,  
ჩემო კარგო მხარევე, ერთავ,  
მაღლა ვხედავ ლამაზ ვარსკვლავს  
კი ვერ ვწვდები, ვხედავ,  
მინდა ხელი რომ მოგკიდო,  
საყვარელო დედავ.

საქმიანობა

ტყეში ნისკარტს კოდალა  
უკაკუნებს ხეს,  
დათვი უვლის და აჭმევს  
პაწაწინა ბელს.  
არც გუგულსა სცალია,  
კვერცხებს არიგებს,  
ტყეში თითქმის სუყველა  
საქმეს ჰკიდებს ხელს.  
ჩიტი ბარტყებისათვის  
საჭმელს დაეძებს,  
ციყვი კი ფულუროში  
კაკლებს აგროვებს.



თორნიკე ჩანადირი, სკოლა „სარკმელი“, II კლასი







ს

# მსირი ენციკლოპედია ერუდიტებისათვის

3

## მხატვრობა

**აკვარელი** - ფერწერა აკვარელის საღებავებით. საღებავებს წყლით აზავებენ და თხელ, გამჭვირვალე ფენებად ადებენ ქაღალდზე ან მუყაოზე. აკვარელში თეთრა („ბელილა“) არ იხმარება, მის როლს თავად თეთრი ქაღალდი ასრულებს.

**აკვარელის საღებავები** - შედგება საღებავი ნივთიერების ძალზე წმინდა ფხვნილისა და დამაკავშირებელი კომპონენტებისაგან: მცენარეული წებოსგან, გლიცერინისგან, დექტრინისგან, თაფლისგან. აკვარელის საღებავებიდან საუკეთესო თაფლის საღებავებია.


**ძალადი აკვარელისმივის** - საჭიროა სქელი და ძალზე თეთრი, მაგალითად, ვატმანი. ამასთან მუშაობისას უმჯობესია ფანერზე ან ფიცარზე გაკრულ ქაღალდზე ხატოთ.

**ბრაშიშრა** - მაგარ მასალაზე სპეციალური იარაღით ამოკვეთილი ან ამოკაწრული გამოსახულების ანაბეჭდი ქაღალდზე.

**ბრაშიშა** - უსაღებავობდ, შავი ან ფერადი ფანქრებით, ნახშირით, სანგინით, იტალიური ფანქრით შესრულებული ნახატი.

**გუაში** - ფერწერა გუაშის ვებენ წყლით და სქელი მონა-ყოზე, ტილოზე. გაშრობის შემდეგ უღებდა.

**ბრაშიშკული ფანქრები** დვით, რომლებითაც განისათითოეული მათგანი. რაც უფრო რბილია ფანქარი, ნახატისთვის



საღებავებით. საღებავებს აზავებენ ქაღალდზე, მუ-მდეგ გუაში საგრძნობლად უფერ

განსხვავდება ნომრების მიხედვრება, რამდენად რბილია მაღალია ნომერი, მით უფრო 2-5 ნომრის ფანქრები ჯობია. ტოგრაფია, ოფორტი. ღებავებს ოლიფასთან შერეული ვებენ (პინინი, უაიტ-სპირიტი,

მსტამპი - გრავეურა, ლი-ზამიით შერწერა - სა-სპეციალური გამსხნელებით აზატერპენტანნი).

**ლიტოგრაფია** - ლითოგრაფიულ ქვაზე ან ლითონის ფირფიტაზე სპეციალური საღებავით შესრულებული ნახატის ანაბეჭდი ქაღალდზე.

**ნახშირი** - მზადდება გამომწვარი ხისა და წებოსგან. ნახშირი ძალზე ლამაზ შავ ხავერდოვან შტრიხებს იძლევა, მაგრამ ქაღალდზე სუსტად მაგრდება. ნახშირით შესრულებული ნახატი აუცილებლად უნდა გაამაგროთ.

**ოვორტი** - ლითონის ფირფიტაზე ამოკაწრული და მჟავით დამუშავებული გამოსახულების ანაბეჭდი ქაღალდზე.

**პალიტრა** - ზეთის საღებავების შესაზავებლად განკუთვნილი ფირფიცარი. პალიტრის კიდევებზე განლაგებული საღებავები, შუა ადგილი კი თავისუფალი რჩება საღებავების შესარჩევად და გასასხინჯად. საზოგადოდ, ჯერ განლაგებულია ღია ფერის საღებავები, მერე - მუქები.

**პასტელი** - ფერად ფანქრებს ჰვავს, ოღონდ ხის ბუდის გარეშე. პასტელს გამოარჩევს მქრქალი ხავერდოვნება და სუფთა ფერი.

**სანგინა** - მოწითალო ჩხირი ხის ბუდის გარეშე. სანგინისა და შავი ფანქრის მეშვეობით შეიძლება საუცხოო, ძალზე გაჯერებული ნახატის შესრულება.

**ტემპერა** - ფერწერა ტემპერის საღებავებით. ფერწერის ყველაზე ძველი სახეობა, მდგრადობით ფერწერის ყველა დანარჩენ სახეობას აღემატება. გაშრობის შემდეგ ტემპერის საღებავები ძალიან ბაცდება.

**ფუნჯები** - აკვარელით, გუაშით და ტემპერით ფერწერაში იხმარება რბილი, მრგვალი ფუნჯები. ქრცინის, ციყვის, კვერნის ბეწვისა, ზეთით ხატვისას კი გამოიყენება ჯაგრისგან დამზადებული ბრტყელი ფუნჯები. სისქის მიხედვით ფუნჯები ნომრებად არის დაყოფილი. რაც მეტია ნომერი, მით სქელია ფუნჯი. ფერწერაში 10-25 ნომრები გამოიყენება, პატარა-პატარა დეტალებისთვის - 3-6 ნომრები.



# ჩვენი ქანალი სხნო ანსამბლი

თამთა ამბარდნიშვილი (სოლისტი), თაკო თუშური (სოლისტი), ნატო რაზმაძე (სოლისტი), ქეთი კვაჭანტირაძე (სოლისტი), ანა ცქიტიშვილი, გვანცა გაგუნაშვილი (სოლისტი), მარი გოგორელიანი, ნათია რეხვიაშვილი, ლიკა ნოზაძე, სალომე მდივინიშვილი, ჟანა ფაროიანი - ეს გოგონები, ახლა კი ბიჭებიც გაიცანით: გიორგი გეწაძე, გიორგი აბესაძე, გაა კვაჭანტირაძე, ბესო აბესაძე, გიორგი მარკელია (სოლისტი), მიხეილ არქანიანი (სოლისტი), გოვა ლაზარაშვილი, ალექო ქურა-

ვრს, ძალიან ბევრს ჩაუნერგა მასწავლებელმა ეს ჭეშმარიტება, ასწავლა ქართული ცეკვის სიყვარული და პატივისცემა, მიახვედრა და აგრძობინა, რაში მდგომარეობს მისი განუმეორებლობა, ხიბლი, სიბრძნე და, რაც არანაკლებ მნიშვნელოვანია, ასწავლა, რომ ხალხურ შემოქმედებას მოვლა და გაფრთხილება სჭირდება.

ბატონი უშანგი ქართული ხალხური ცეკვა-სიმღერის მცოდნე და მოყვარულ ოჯახში გაიზარდა და გასაკვირი არ არის, რომ ყმაწვილკაცობაშივე ცხოვრების მთავარ საქმედ ხალხური ქორეოგრაფია აირჩია და ნახევარ საუკუნეზე მეტია ერთგულად ემსახურება მას. მის მიერ მომზადებული ნორჩი მოცეკვავეები ყოველთვის წარმატებით გამოდიოდნენ და გამოდიან ოლიმპიადები იქნება ეს, კონკურსები თუ სხვადასხვა სახის კონცერტები. წარმატებები ახალისებს, ფრთებს ასხამს პატარა მოცეკვავეებსაც და მათ ხელმძღვანელსაც, მაგრამ მასწავლებელი თითოეულ მათგანს ანსამბლში მისვლის დღიდან ყველაფერთან ერთად იმასაც ასწავლის, რომ მიღწეულით დაკმაყოფილება არ შეიძლება და ამიტომაც ოფლის მოწურვამდე შრომობენ აძლენს ყოველ მეცადინეობაზე. ნაკადულელები კვირაში სამჯერ საათ-ნახევარს და ზოგჯერ უფრო



ზბედიანი (სოლისტი), დანი ჯუგაშვილი, ალექო ტაბატაძე, ჯაბა ჯაბაური (სოლისტი). ხელმძღვანელი უშანგი ამბარდნიშვილი. ასეთი გახლავთ თბილისის მოსწავლე-ახალგაზრდობის სასახლის ქორეოგრაფიულ ანსამბლ „ნაკადულის“ სრული შემადგენლობა. ახლა კი უფრო დაწვრილებით:

ხალხური ცეკვის ბავშვთა სტუდიები თუ ანსამბლები საქართველოში მრავლად არის და თითოეულ მათგანს თავისი, სხვებისგან განსხვავებული სახე აქვს, ეს კი უწინარეს ყოვლისა, ამა თუ იმ კოლექტივის ხელმძღვანელის შემოქმედებითი ხელწერით, ხალხური ცეკვის რაობის და დანიშნულების მისეული გაგებით არის განპირობებული. ის, ვინც ერთხელ მაინც ნახავს მოსწავლე-ახალგაზრდობის სასახლის ანსამბლ „ნაკადულის“ მიერ შესრულებულ ცეკვებს, დარწმუნდება, თუ რა დიდი სიყვარულით და პატივისცემით ეკიდება ანსამბლის ხელმძღვანელი უშანგი ამბარდნიშვილი ფოლკლორს, ხალხურ შემოქმედებას საერთოდ, და კერძოდ, ქართულ ხალხურ ცეკვას. ადვილი მისახვედრია ისიც, რომ ბატონი უშანგის აღსაზრდელებმა იციან, როცა „განდაგანას“, „მხარულს“, „ფერხულს“, „ქართულს“ ან ნებისმიერ სხვა ცეკვას ცეკვავენ, მარტო ამა თუ იმ მოძრაობას ან ილეთს კი არ ასრულებენ, არამედ საკუთარი ხალხის ისტორიაზე, კულტურაზე, ხასიათზე, ზნეჩვეულებებზე, მის სულიერ სამყაროზე მოუთხრობენ მაყურებელს და ამიტომაც ყოველ მეცადინეობა-რეპეტიციაზე მარტო ტექნიკის დახვეწაზე კი არ ზრუნავენ, არამედ ცეკვის გამომსახველობით მხარეზეც, ყოველივე ამის ცეკვის ენაზე გადმოცემის უნარზეც. ქორეოგრაფი უშანგი ამბარდნიშვილი 50 წელზე მეტია „ნაკადულში“ მუშაობს (ხალხური ცეკვის ანსამბლი მაშინდელ ჰიონერთა სასახლეში ადრეც არსებობდა, მაგრამ 1952 წელს ფგი გაიყო და იმ დღიდან მოყოლებული უ. ამბარდნიშვილი „ნაკადულის“ ხელმძღვანელია) და მთელი ეს ხანი განუხრევლად ხელმძღვანელობს ამ ჭეშმარიტებით, გოგო-ბიჭების არა ერთმა თაობამ გამოიარა მის ხელში. ბე-

მეტსაც მეცადინეობენ, ზეწვენ ყოველ ილეთს, მოძრაობას, ანალიზებენ თითოეულ შეცდომას, სწავლობენ მორიგ ცეკვას, ამზადებენ ახალ რეპერტუარს, ეუფლებიან ქორეოგრაფიის ენას. ცხადია, ყველა მათგანი არ გაჰყვება ცეკვას, ყველა არ აირჩევს პროფესიული მოცეკვავის გზას, მაგრამ ცეკვა ყველას ეცოდინება, ყველას შეეძლება მისი დაფასება და ყველა იზრუნებს მის მოვლა-პატრონობაზე. სწორედ ეს გახლავთ უშანგი ამბარდნიშვილისთვის ერთ-ერთი მთავარი ამოსავალი წერტილი ბავშვებთან მუშაობაში. უშანგი მასწავლებელი ძალიან მომთხოვნია, ყველაზე მეტ სიმკაცრეს კი საკუთარი შეილიშვილების ანას, თამთას და ზურაბის მიმართ იჩენს. მათი გულმოდგინება, შრომისმოყვარეობა რომ არ მოსწონდეს, ცეკვის სიყვარულს რომ არ ამჩნევდეს მათ, ერთ დღესაც არ გააჩერებდა „ნაკადულში“. ეს ბავშვებმაც იციან და ამიტომაც მეცადინეობა-რეპეტიციებზე სხვებზე მეტ ოფლსაც ღვრიან.

ღღეს ამბარდნიშვილის აღსაზრდელები შრომობენ, მეცადინეობენ, ცეკვავენ, მერე სცენაზე გამოდიან და ყოველთვის, ნებისმიერი აუდიტორიის მოწონებას იმსახურებენ. იმას კი ჯერ ვერ აცნობიერებენ, რომ საკუთარი წვლილი შეაქვთ ქართული ხალხური ცეკვის პროპაგანდასა და განვითარებაში. ამის შეგნება მოგვიანებით მოვა.

თამუნა გვილესიანი





# მეტლახი პრინციპების

პრინციპსა არითმეტიკას ღვიძლი და - გეომეტრია და დეიდაშვილი ქალები - ფილოსოფია და მუსიკა ეწვივნენ. პრინციპსა დიდად გაახარა ამ სტუმრობამ - დეიდაშვილები ბავშვობიდანვე მისი გულითადი მეგობრები იყვნენ.

სტუმრების პატივსაცემად გაიმართა მეჯლისი, რომელზეც პრინციპსას განკარგულებით ყველა ნატურალური რიცხვი მოიპატიჟეს. დაუსრულებელ ნაკადად მოედინებოდნენ ისინი არითმეტიკის დიდებულ დარბაზში.

აი, თავმომწონედ მოაბიჯებს ერთი: მას წილად ხვდა პატივი პირველი შემოსულიყო დარბაზში და პრინციპსასა და მის სტუმრებს მისალმებოდა. ერთს მოკვებთან ორი, სამი, ოთხი და ა.შ. როგორ არ ჰგვანან ისინი ერთმანეთს.

დაიწყო ცეკვები. თითქმის ყველა რიცხვი მონაწილეობდა ზეიმში.

გამხიარულებულმა დიასახლისმა უცბად შენიშნა, რომ რაღაცით შეფიქრიანებული მუსიკა გაცივებით შესცქერის ხან ერთ, ხან მეორე რიცხვს, ათვალეურებს ჯგუფებს, რომლებშიც ისინი გაერთიანებულან.

-რა იყო, გენაცვალე, რატომ არ მოიღხენ, შეხედე, როგორი მრავალფეროვნებაა! - მიმართა მას არითმეტიკამ.

-ჩემო კარგო, სწორედ მაგ მრავალფეროვნებამ დამაფიქრა. შენი კარიკაები ისე უცნაურად იქცევიან, ვერაფერი გამიგია.

-მერედა, რატომ გაკვირვებს ეს? ისინი ხომ ყველა სხვადასხვანი არიან, ერთმანეთისაგან განირჩევიან არა მარტო გარეგნობითა და საზოგადოებაში მდგომარეობით, არამედ ხასიათითაც. გინდა, ზოგი რამ გაიმბო მათ შესახებ? - ჰკითხა პრინციპსამ და ნაზად აკოცა დეიდაშვილს.

-ძალიან მაღლობელი ვიქნები. ვფიქრობ, შენი მონათხრობი გეომეტრიასა და ფილოსოფიასაც დააინტერესებს. ასე არ არის, ჩემო ძვირფასებო? - მიუბრუნდა მუსიკა გეომეტრიასა და ფილოსოფიას, რომლებიც აგრეთვე ყურადღებით აკვირდებოდნენ რიცხვებს.

-რალა თქმა უნდა, რალა თქმა უნდა, - გამოეხმაურნენ ისინი, - ეტყობა, ჩვენ თვითონ ვერ გავერკვევით.

-მაშ კარგი, მე მგონია, დავაკმაყოფილებ თქვენს ცოდნისმოყვარეობას, - თქვა არითმეტიკამ. - თუმცა, მოიცათ, აი რა მოვიფიქრე: მოდით, ვთხოვოთ პითაგორას, ჩემ მაგიერ მან გააკეთოს ეს, მისთვის ხომ რიცხვითი სამყაროს ყველა საიდუმლო ცნობილია.

ღობილები მშვენივრად იცნობდნენ პითაგორას - ის არაერთხელ ყოფილა მათთან. ოთხივე მასთან მივიდა.

-ბრძენო პითაგორა, - მიმართა პრინციპსამ, - ჩვენი

სტუმრები ჩემი კარიკაციებით დაინტერესდნენ. დავაპირე, ზოგი რამ შეამჩნა ამ, როგორც ესენი ამბობენ, თავისებური სამყაროს შესახებ, მაგრამ გადავიფიქრე, - შენ ხომ ამას ჩემზე გაცილებით უკეთ შეძლებ. ჰქენი სიკეთე, ნუ გვეტყვი თხოვნაზე უარს; მეც სიამოვნებით მოგიხმენ - შენ უთუოდ ახალი ამბებიც გეცოდინება.

-დიდი სიამოვნებით, ძვირფასო პრინციპსა, მზალა ვარ თქვენდა სამსახურად, - თავის დაკვრით მიუგო პითაგორამ და დაიწყო თხრობა.

-ქვეყნად არაფერი არ არის რიცხვებზე საინტერესო! ყოველი რიცხვი განუმეორებელია და მთელი რიგი შესანიშნავი თვისებაც აქვს. მაგალითისთვის რიცხვი ერთი ავიღოთ. თქვენ, რასაკვირველია, შენიშნავდით, რა ამაყად შემოვიდა დარბაზში. ჩვენს ერთს აქვს ამის უფლება - ის პირველია ნატურალურ რიცხვთა მწკრივში და საოცარი თვისებებით გამოირჩევა: მასზე იყოფა ყოველი ნატურალური რიცხვი, ის კი მარტო თავის თავზე იყოფა - და ის ერთადერთი რიცხვია, მხოლოდ ერთი გამყოფი რომ გააჩნია. საგულისხმოა, რომ ერთზე გაყოფისა და გამრავლებისას სხვა რიცხვები არ იცვლებიან. მას ყველა პატივსა სცემს და აფასებს. ის ტოლობას ანსახიერებს, მაშინ როცა ორი უტოლობის დასაწყისია. შესანიშნავი თვისებებისაა სამი: იმის გარდა, რომ სამკუთხა რიცხვად ითვლება, ის პირველი კენტი მარტივი რიცხვია. მაგრამ ესეც ცოტაა: სამი წინა რიცხვების ტოლი ერთადერთი რიცხვებია:  $1+2=3$ . საინტერესოა თვისე-



ბები აქეთ ოთხსა და ხუთს. მაგრამ რიცხვ ექვსის თვისებები კიდევ უფრო შესანიშნავია. შეხედეთ, რა მედიდურად დასეირნობს დარბაზში, თავის უპირატესობას რომ გრძნობს.

-რაში გამოიხატება ეს უპირატესობა? - იკითხა ფილოსოფიამ.

-იმაში, რომ ეს რიცხვი საკუთარი გამყოფების ჯამის ტოლია: მისი გამყოფებია 1, 2, 3, რომელთა ჯამია  $1+2+3=6$ . ეს ხომ სრულყოფილებაა! მე მას ასეც ვუწოდებ: სრულყოფილი რიცხვი.

-საუცხოოა! ნუთუ სხვა ასეთი რიცხვები აღარ არის? - იკითხა გეომეტრიამ.

-არის, - ღიმილით უპასუხა პითაგორამ, - მაგრამ ისინი ერთობ ცოტანი არიან. ეს ბუნებრივად არის: სრულყოფილება ხომ სილამაზეა, სილამაზე კი, სამწუხაროდ, არც ისე ხშირად გვხვდება. მე ვიცნობ ოთხ სრულყოფილ რიცხვს -

გაგრძელება 29-ე გვ.





ერთი ერთნიშნა - 6, ერთი ორნიშნა - 28, ერთი სამნიშნა - 496 და ერთიც ოთხნიშნა - 8128. ვფიქრობ, რომ ხუთ და ექვსნიშნა რიცხვებს შორის სრულყოფილი არ გვხვდება. შეამჩნიეთ თუ არა, რომ ჩემ მიერ დასახელებული ყველა რიცხვი ლუწია? ჯერჯერობით ვერ მოვახერხე ვერც ერთი კენტი სრულყოფილი რიცხვის მოძებნა. დარწმუნებული ვარ, რომ ასეთი რიცხვები არც არსებობენ.

-ეს მართლაც რომ შესანიშნავია! - შესძახა ფილოსოფიამ და არითმეტიკისაკენ მიბრუნებულმა სთხოვა: - ძვირფასო, დაავალე შენს მსახურებს, განაგრძონ სრულყოფილი რიცხვების ძებნა!

-რასაკვირველია, რასაკვირველია, ჩვენი პატივცემული პითაგორას გამოკვლევები გაგრძელდება, - თქვა არითმეტიკამ, მერე უშმაკურად მოჭკუტა თვალები და ჰკითხა დობილებს: - ნუთუ თქვენ არ გაოცდებთ რიცხვ 220-ის და რიცხვ 284-ის წყვილების ყოფაქცევა?

-როგორ არა, - გამოეპასუხა მუსიკა, - მე მაშინვე შევნიშნე, რომ ეს ორი რიცხვი სულ ერთად არის, მაგრამ რა მიზეზით - ეს კი არ ვიცი.

-ესენი ნამდვილი მეგობრები არიან, - აუხსნა პითაგორამ, - მათ ვერაფერს დააშორებს. ამ რიცხვებს მე მეგობრულს ვეძახი და აი რატომ: ყოველი მათგანის საკუთარ გამოფთხა ჯამი მეორის ტოლია. აი, ინებეთ რიცხვ 220-ის საკუთარი გამოფთხები: 1, 2, 4, 5, 10, 11, 20, 22, 44, 55, 110: მათი ჯამი უდრის 284-ს:  $1+2+4+5+10+11+20+22+44+55+110=284$ ; ხოლო 284-ის საკუთარი გამოფთხებია რიცხვები 1, 2, 4, 71, 142. მათი ჯამი 220-ის ტოლია:  $1+2+4+71+142=220$ . ამას წინათ ერთმა კაცმა მკითხა - რა არის მეგობარიო. მე ვუპასუხე: „მეგობარი - ეს მეორე მეა“ და მაგალითად რიცხვები 220 და 284 დაუქსახელე. თქვენ, ალბათ, გაინეტერესებთ, არსებობს თუ არა მეგობრულ რიცხვთა სხვა წყვილები. დიახ, კიდევ სამ ასეთ წყვილს ვიცნობ, ისინი დარბაზის ბოლოში არიან, მაგრამ ძალიან დიდი რიცხვებია.

-მე კიდევ იმას დავაკვირდი, რომ რიცხვები რაღაც უცნაურად დაწყვილდნენ, როცა ცეკვები დაიწყო. თუნდაც 11 და 13, 17 და 19, 29 და 31. აი, 5 კი ხან 3-თან ცეკვავდა, ხან 7-თან. რატომ? - დაინტერესდა გეომეტრია.

-ოჰ, ეს სულ ადვილი ასახსნელია, - გაიღიმა პითაგორამ, - ცეკვავდნენ მხოლოდ მარტივ ტყუპ რიცხვთა წყვილები. თქვენ ხომ იცით, რომ თუ P და P+2 რიცხვები მარტივია, მაშინ მათ ტყუპებს უწოდებენ. აი სწორედ ასეთი რიცხვები გაერთიანდნენ. რაც შეეხება რიცხვს 5-ს, ის რიცხვ 3-ის ტყუპის ცალიც არის და რიცხვ 7-ისაც, ამიტომაც ხან ერთთან ცეკვავდა, ხან მეორესთან.

-ოი, ამას როგორ ვერ მივხვდი? მე ხომ ძალიან კარგად ვიცი მარტივი რიცხვები, - სინანულით წარმოთქვა გეომეტრიამ.

-არა უშავს, ჩემო დაო, - ანუგემა ის არითმეტიკამ, - ნუ დარდობ. სჯობია მადლობა გადაუხადოთ ჩვენს პატივცემულ პითაგორას და საცეკვაოდ წავიდეთ.

ყველამ მხურვალე მადლობა უძღვნა პითაგორას; მან კი, თავის მხრივ, აღუთქვა მათ, რომ კვლავაც ერთგულად ემსახურება მის გულის რჩეულებს - არითმეტიკას, გეომეტრიას, ფილოსოფიასა და მუსიკას.

# სკოლაში განათლებული შემოთხინდა



ეს დღე არასოდეს დაავიწყდებათ თბილისის 130-ე საშუალო სკოლის უმცროსკლასელებს, მათ მშობლებსა და მოწვეულ სტუმრებს.

განათლებული შემოთხინდა და „განათლებული და დედა“ დარქვეს პატარებმა იმ ზეიმს, რომელიც სკოლის სააქტო დარბაზში მოაწვევს სწორედ განათლებისა და დედისადმი მიძღვნილი ქართველ მწერალთა ნაწარმოებები წაიკითხეს ასე ხალისით იმ დღეს ახლადწამოჩენულმა გოგონებებმა. სცენაზე სიმღერას ცეკვა ცვლიდა, ცეკვას - პატარ-პატარა ინსცენირებები, სახუმარო შაირიც ბევრი თქვეს. ლექსები წაიკითხეს ლამა ცაცკამ, თინათინ ცეცხლაძემ, ნანა თევდორაძემ, ეთერ ქათამაძემ, სოფიო წიწილაშვილმა.

თამუნა ხვედელიძემ სამეჯლისო ცეკვები შეასრულა, ირაკლი პაპინაშვილმა კახური შაირებით გაამზიარულა აუდიტორია. გვანცა და ბექა ქუთელიძეებმა ლამაზი აჭარული ცეკვა წარმოადგინეს, ხოლო ირაკლი კვანტიაშვილმა და ნინო ხორავამ ოსური ცეკვა შეასრულეს.

განათლების დღესასწაულის მოსამზადებლად დიდად გაისარჯუნენ სკოლის დაწყებითი კლასის მასწავლებლები ლევა ძნელაძე, ნარგიზა ჟორჯოლიანი, ცისანა მინდელაური, ნაილი არველაძე, ზაირა ამირიძე, ზათუნა ბერიშვილი, რუსუდან აზნაშვილი და სხვები. ამ პატარა, მაგრამ ლამაზმა ღონისძიებამ საყოველთაო მონაწილეობა დაიმსახურა. სკოლის დირექტორმა იუზა ჩჩქელაშვილმა დიდი მადლობა გადაუხადა როგორც პატარებს, ისე მათ აღმზრდელებს.







# შესანიშნავი

## ზარმაცნი ხარ?

1. თუ შინ მარტო არა ვარ, არასდროს ვიღებ ტელეფონს, ველოდები, რომ ამას სხვა გააკეთებს.
2. დილაობით ხშირად ვაგვიანებ სკოლაში, რადგანაც ლოგინიდან ბოლო მიმენტში ვდგები.
3. არც ფეხით სიარული მიყვარს, არც სირბილი და საერთოდ არ მიყვარს სპორტი.
4. ტელევიზორს ყოველთვის წამოწოლილი ვუყურებ.
5. დღეში ორ საათს მაინც უსაქმოდ ვარ, არაფერს ვაკეთებ, მარტო ვფიქრობ, ვოცნებობ.
6. გაკვეთილებს რომ მოვამზადებ, მერე იშვიათად ვკითხულობ სხვა წიგნებს.
7. თუ ნაგვის ურნა ახლოს არ არის, ზოგჯერ ნაგავს ძირსაც ვაგდებ.
8. ავეჯისა და საწოლის ქვეშ მტვრის გამოწმენდით თავს იშვიათად ვიწუხებ.
9. თუკი ვინმესთან ერთად მიწევს რაიმე საქმის კეთება, ყოველთვის ვცდილობ, რომ მან მეტი გააკეთოს.

ყოველი ზღადაბითი პასუხი 1 ქულა.

7-9 ქულა - ძალიან ზარმაცი ხარ. სიზარმაცე საერთოდ გიფუჭებს ურთიერთობებს გარშემო მყოფებთან. ისინი იძულებულნი არიან კომპენსაცია გაუკეთონ შენს უმოქმედობას, ეს კი ძალიან აღიზიანებს მათ.

4-6 ქულა - ისევე როგორც უმრავლესობას, შენც გაქვს მიდრეკილება სიზარმაცისადმი, მაგრამ დასაშვებ ფარგლებში.

0-3 ქულა - ზარმაცი არა ხარ, მაგრამ, როგორც ამბობენ, უკიდურესობაც საზიანოა. ვინ იცის, იქნებ დროის რაღაც მონაკვეთის უმოქმედობაში გატარება ურიგო არც იყოს, არ არის გამორიცხული, რომ ეს სასარგებლო აღმოჩნდეს.

## მიოცნებე ხარ თუ რეალისტი?

- უპასუხე „დიახ“ ან „არა“
1. ვიდრე რომელიმე მასალის კითხვას შეუდგებოდე, გახეთს ან ჟურნალს ჯერ ათვალე რებ?
  2. როცა გაღიზიანებული ხარ, ჩვეულებრივად უფრო მეტს ჭამ?
  3. სასიყვარულო ბრათებს თუ ინახავ?
  4. გაინტერესებს ფსიქოლოგია, ჰოროსკოპები, ასტრონომიული პროგნოზები?
  5. გიყვარს სწრაფად მქროლ მანქანაში ჯდომა?
  6. დილით ლოგინში მწოლიარეს ოცნება თუ გჩვენია?
  7. სიკვდილზე ფიქრს გაუბობხარ?
  8. სისაყვარულო რომანების კითხვა თუ გიყვარს?
  9. ხშირად უზიარებ სხვებს შენთ პრობლემებს?
  10. ყოფილა შემთხვევა, როცა ფიქრებში გართული შენს განერებას გასცდენიხარ?
  11. პოპულარული მსახიობი ან მომღერალი თუ შეგყვარებია?
  12. მარტობის გეშინია?
  13. მოგზაურობა გიყვარს?
  14. შეიძლება თავსდატეხილი უსიამონებების გამო ავად გახდე?
  15. შინაურები ცხოველები თუ გიყვარს?
  16. ხშირად უსმენ მელიოდიურ მუსიკას?
  17. ღამით მოგზაურობა გიყვარს?
  18. იოლია შენი გაცინება ან ატირება?
  19. ცრუმორწმუნე თუ ხარ?

„დიახ“ - 1 ქულა; „არა“ - 0 ქულა.

15-20 ქულა: გამოუსწორებელი ფანტაზიორი ხარ. როგორც კი ცხოვრებაში რაღაც დაბრკოლება ან პრობლემა გიჩნდება, მაშინვე ოცნებებისა და ზმანებების სამყაროს აფარებ თავს. ამის გამო კი ბევრი მართლაც მნიშვნელოვანი რამ ხელიდან გიქვდება. შეეცადე პრაქტიკული გამოყენება მოუხაზო საკუთარ ფანტაზიებს.

8-14 ქულა: მშვენივრად უთავსებ ერთმანეთს პოეტურ განწყობასა და პროზაულ საქმეებს. საკმაოდ მდიდარი წარმოსახვა გაქვს. არც აღმაფრენა გაკლია, მაგრამ საჭიროების შემთხვევაში ყველაფერს კონკრეტული პროექტების განხორციელებაზე და რეალური პრობლემების გადაჭრას უქვემდებარებ.

0-7 ქულა: რა თქმა უნდა, მუდმივად ღრუბლებში ფრენა სასიყვარულო არ არის, მაგრამ განუწყვეტლივ მიწას მიჩერებაც ძალიან მოსაწყენია. შენ ოცნება დროის ფუჭ ფლანგვად მიგანია, ან ფანტაზია არ გყოფნის, ცხოვრების პოეტური მხარეებიც დაინახო. ურიგო არ იქნება, თუ საკუთარი შემოქმედებითი პოტენციალის დანახვასა და გამოძვლებას ისწავლი.



# სიცილის გაუთილი

\*\*\*

—ყოჩაღ, ეს პეინაჟი კარგად დაგინატავს, „ოთხიანს“ გიწერ, — უთხრა მასწავლებელმა ჟანს.  
—რატომ, მასწავლებელი?  
როცა დედამ ეს სურათი დამინატავა, მითხრა, აუცილებლად „ხუთიანს“ მიიღებო.

\*\*\*

მასწავლებელი ეუბნება ერთ-ერთ მოსწავლეს:  
—შენ სულ იტყუები, მიშელ, და არ ვიცი, რა დადგება შენგან.  
—მეტეოროლოგი, მასწავლებლო, — პასუხობს მოსწავლე.

\*\*\*

მასწავლებელი: პიერ, გსმენია რამე „სევილიელ დალაქზე“?  
პიერი: არა, მასწავლებლო, მამაჩემი ყოველთვის თვითონ იპარსავს პირს.

\*\*\*

—დე, შეხედე, როგორ ჰგავს ეს ძაღლი ძია პოლს!  
—ჩუმად, მარი, როგორ შეიძლება ამის თქმა!  
—ვითომ რატომ არ შეიძლება? შენ გგონია, რომ ძაღლმა ჩემი ნათქვამი გაიგო?

\*\*\*

პაპამ პიტერი სტუმრად წაიყვანა. როცა სუფრას მიუსხდნენ, ბიჭმა ისეთი მადა გამოიჩინა, შეუჭმელნი არაფერი დატოვა. პაპამ შეილიშვილს ფეხი გაჰკრა — როგორ იქცევით!

—პაპა, განა არ იცი, რომ ჩემს ასაკში აუცილებელია ვიტამინების მიღება. ფორთოხალში ვიტამინი „ა“ არის, ვაშლში — ვიტამინი „ბ“, მურაბაში — ვიტამინი „გ“ — მიუგო პიტერმა და ისევ ეცა საჭმელს.

გაბრაზებულმა პაპამ ერთი გემრიელი სილა სტკიცა შვილიშვილს.

—იმედია, დაიმახსოვრებ, რომ



„სილაში“ არის ვიტამინი „ს“!

\*\*\*

მამა: ჯეკ, მე შენ ვიამბე არა, მეორე მსოფლიო ომში ჩემი მონაწილეობის ისტორია, ყველაფერი გაიგე?

შვილი: კი, მამა, ოღონდ ის ვერ გავიგე, დანარჩენი ჯარი-სკაცები რაღა საჭირო იყო.

\*\*\*

მასწავლებელი: გაიმეორე, რა ვთქვი!

მოსწავლე: ახლა არ გვარი-გებლით ჭკუას, სხვისი ნათქვამი თუთიყუშით არ უნდა გაიმეოროთ?

\*\*\*

გამოცდიდან დაბრუნებულ პიერს მშობლებმა ჰკითხეს, როგორი გამოცდილი შეგზვდაო.

—რა ვიცი აბა, ისე კი, ეტყობა, ძალიან ღვთისმოსავია, — უპასუხა პიერმა, — ყოველი ჩემი პასუხის შემდეგ სულ „ღმერთო ჩემოს“ იძახდა.

\*\*\*

ერთმა ქალმა კოჭლი მათხოვარი გაიკითხა და თან ანუგეშა:

—ცხადია, კოჭლობა ცუდია, მაგრამ გარწმუნებთ, სიბრძავე კიდევ უარესია.

—მართალი ბრძანდებით, ქალბატონო! როცა ბრმა ვიყავი, ხშირად ყალბ ფულს მაჩეჩებდნენ.

\*\*\*

მათხოვარი ქუჩის კუთხეში იჯდა და გამვლელ-გამომვლელს თავს აბრალებდა.

—დაეხმარეთ უბედურ კაცს, რომელსაც დაბადებიდანვე ხის ფეხი აქვს.

\*\*\*


მასწავლებელი: როგორ ზრდიდნენ ბიჭებს ძველი სპარტელები?

მოსწავლე: ძველი სპარტელები ბიჭებს ასწავლიდნენ, რომ ტრანსპორტში უფროსებისთვის ადგილი დაეთმოთ.



# იჭილედ - მიჭილედ

## კროსვორდი



7. ძველი რომაელი პოეტი - სატირიკოსი.
8. დიდი ქართველი პოეტი.
9. ინგლისელი მწერალი, „ჯუნგლების წიგნის“ ავტორი.
10. ქართველი პოეტი, ავტორი ლექსისა „სამშობლო ხევსურისა“.
11. დიდი ინგლისელი დრამატურგი.
12. ამერიკელი პოეტი, „ჰაიავატას სიმღერის“ ავტორი.
13. ფრანგი კომპოზიტორი.
14. დედამიწის ირგვლივ პირველი ექსპედიციის მეთაური.
15. გამოჩენილი ამერიკელი საზოგადო მოღვაწე.
16. ცნობილი ქართველი კინორეჟისორი, „არსენას“, „გიორგი სააკაძის“ და სხვათა შემქმნელი.
17. ბერძენი მათემატიკოსი და ფილოსოფოსი.
18. ცნობილი ფრანგი ქიმიკოსი.
19. კომპოზიტორი, ოპერა „თავადი

ყოველი სიტყვა ავსებს კვადრატს. შევსება იწყება ისრით ნაჩვენები უჯრიდან საათის ისრის მოძრაობის მიმართულებით.

1. ძველი საბერძნეთის უდიდესი მათემატიკოსი და მექანიკოსი.
2. ცნობილი ამერიკელი მწერალი.
3. ამერიკელი მოჭადრაკე, ყოფილი მსოფლიოს ჩემპიონი ჭადრაკში.
4. დიდი ფრანგი მწერალი.
5. მსოფლიოს პირველი კოსმონავტი.
6. ცნობილი გერმანელი ფიზიკოსი, X სხივების აღმოჩენი.

- იგორის“ ავტორი.
20. XIX საუკუნის პრუსიისა და გერმანიის სახელმწიფო მოღვაწე და დიპლომატი.
21. ჩეხი მწერალი, „ვეფხისტყაოსნის“ ჩეხურ ენაზე მთარგმნელი.
22. დიდი იტალიელი მევიოლინე და კომპოზიტორი.


**№3-ში გაომკვეთებული კროსვორდის პასუხები**

**თარგმნალები:** 1. ტრაბახი; 2. რემარკა; 3. ბოლონია; 8. იაპონია; 14. უმი; 15. ძუა; 17. მადლი; 19. ბია; 20. არიკა; 22. ლია; 23. იაენანა; 24. იორი; 26. იდეა; 28. ის; 29. ვა; 30. პორტალი; 31. შტრაუსი; 32. გრიფიტი.

**შვეულად:** 4. ლონდონი; 7. ანარქია; 8. ინგლისი; 16. კანტატა; 18. მუმი; 21. უნაბი; 25. ზლოტი; 27. ირემი. დიაგონალურად: 5. ისრიმი; 6. ჩირგვი; 7. აპათია; 9. ისინდი; 10. ტალი; 33. არეკლი; 34. აბრისი; 35. ირონია; 36. იოდი; 37. აილა; 38. ავენტი.

1. მრგვალთავიანი დიდი ჯოხი.
2. წვრილფეხა რქიანი ცხოველი.
3. ცხვრის საზამთრო სადგომი.
4. მინდორი, სადაც საქონელს აძოვებენ.
5. მოთელილი მატყლისაგან დამზადებული წამოსასხამი.
6. ლერწმის ან ხის ჩასაბერი ხალხური საკრავი.
7. მამალი ცხვარი.

შეადგინა თბილისის 51-ე საშუალო სკოლის III კლასის მოსწავლემ ანა ლითანიშვილმა







# საქართველოს მთავარი



ოქანს უკნიყაძე და გორჩი მელქიძე  
„საჩემლო“, III კლასი.



ბნოს ანა შიოსძე



თბილისის 23-ე საშუალო სკოლა, I კლასი, ხელმძღვანელი გიული ხოსელიძე



თბილისის 55-ე საშუალო სკოლა, I კლასი, ხელმძღვანელი ნაფი მესხია






ლოკა  
სულოძე, 51-ე  
საშუალო  
სკოლა,  
III კლასი,  
სამხატვრო  
სკოლა.



მარამ  
ახათანი,  
იბრაჰიმ  
ხეივანი,  
ქართლ  
ვაგია  
პანელი,  
„ბიჭნი“,  
IV კლასი



საქართველო